საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის (2017-2020) 2017 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

თბილისი, საქართველო

2018 წლის აპრილი

შინაარსი

მოკლე შეჯამება 3

პრიორიტეტული მიმართულება 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა 6

ამოცანა 1.1. 6

ამოცანა 1.2. 23

ამოცანა 1.3 25

პრიორიტეტული მიმართულება 2: სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე 35

ამოცანა 2.1 35

ამოცანა 2.2 50

ამოცანა 2.3 68

პრიორიტეტული მიმართულება 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა 71

ამოცანა 3.1. 71

ამოცანა 3.2 74

ამოცანა 3.3 78

მოკლე შეჯამება

წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა სოფლის განვითარების მიზნით, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სოფლის განვითარება პირველად 2017 წელს ჩამოყალიბდა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (შემდგომში სტრატეგია) და 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. ამ პროცესში აღსანიშნავია ევროკავშირის მხარდაჭერა, ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულება, რომლებიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან. სტრატეგიას სამი პრიორიტეტული მიმართულება აქვს: (1) ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; (2) სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; და (3) გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. სტრატეგიის შესაბამისად, დაიგეგმა და განხორციელდა 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 47 აქტივობას და 70 შესრულების ინდიკატორს.

2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო აქტივობების დაფინანსება საერთო ბიუჯეტით 372,713,065.0 ლარი და 9,000.0 აშშ დოლარი.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ინდიკატორების (70) **86%-ი** შესრულდა სრულად, **11%-ი** ნაწილობრივ, ხოლო **3%-ი** კი არ შესრულებულა. განხორციელებული 32 აქტივობის 44-ი (63%) შესრულების ინდიკატორი სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით გადაჭარბებით შესრულდა, რამაც თავისთავად ზეგავლენა მოახდინა საბიუჯეტო ხარჯვაზეც. სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის გაიხარჯა **549,689,556.6** ლარი და 10,677.0 აშშ დოლარი. დამატებით, უნდა აღინიშნოს რომ აქტივობების ნაწილის შესრულება ფინანსდებოდა დონორი ორგანიზაციების მიერ. შესაბამისად, ზემოთ მოცემული ბიუჯეტის მაჩვენებლები სრულყოფილად არ მოიცავს დონორი ორგანიზაციების დაფინანსებას.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

2017 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები:

პრიორიტეტული სფერო	ამოცანა	აქტივობების რაოდენობა	საპროგნოზო ბიუჯეტი	ბიუჯეტის შესრულება
1. ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა	1.1. ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.	8	125,270,000	122,679,521
	1.2. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით.	1	32,050,000	23,690,958.9
	1.3. სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.	6	3,325,000	3,342,227.8
2. სოციალური პირობები და ცხოვრების დონე	2.1. ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის).	11	21,087,960.0	24,923,400.8
	2.2. ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.	13	190,510,105 ლარი; 9,000.0 $	374,299,301.1 ლარი 10,677.0 $
	2.3.ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროე-	2	40,000	44,260.3

	ზების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.			
3. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	3.1. წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.	2	120,000	310,000
	3.2. ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელ-.შეწყობა	2	210,000	60,000.0 + დონორების დაფინანსება
	3.3. კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამო-წვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონის-ძიებების განხორციელება. რისკების შეფასება.	2	100,000	339,886.8

პრიორიტეტული მიმართულება 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

პრიორიტეტული მიმართულება ეკონომიკის და კონკურენტუნარიანობა მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 15 აქტივობას. ამოცანები ძირითადად მოიცავს ფერმერული მეურნეობების გაჯანსაღების, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის და ასევე, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირების და ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

პრიორიტეტული მიმართულების ჯამური ბიუჯეტი**160,645,000.0** ლარია.

ამოცანა 1.1. ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით

1.1 ამოცანის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში 8 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების განვითარება/გაფართოების, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების და მათი შენახვა-გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების და კოოპერატივების მხარდაჭერის მიმართულებით. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში არსებული სააგენტოების მიერ.

1.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 125,270,000.0 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში:

- **სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა გაეწია 261 მეწარმეს;**
- **მრავალწლოვანი ნარგავებით (ხეხილი, ჩაი და სხვა) გაშენებულია დაახლოებით 1400 ჰა მიწის ფართობი;**
- **სარწყავი და სადრენაჟე სისტემა გაუმჯობესებულია 20 440 ჰა ფართობზე;**
- **ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტი გაზრდილია 49%-ით.**

1.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 125,270,000.0 დიდწილად შესრულებული. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, აქტივობის განხორციელებისთვის გახარჯულია 122,679,521.0 ლარი

- **აქტივობა 1.1.1:** სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნის და/ან არსებულის გაფართოების ხელშეწყობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> აქტივობა მიმართულია სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი საწარმოების და ასევე, არსებული საწარმოების გაფართოების/მოდერნიზაციის მხარდაჭერისკენ და ხორციელდება შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რიგი ღონისძიებები და ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ:

- ✓ ლარიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, რიგი ცვლილებები განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში სესხის აღება აშშ დოლარში შეიზღუდა და მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გახდა შესაძლებელი. დოლარში სესხების გაცემის შეზღუდვით მოხდა სესხების ლარში გაცემის სტიმულირება, ამასთან, გრძელვადიანი სესხების ეროვნულ ვალუტაში მიღების შემთხვევაში შესაძლებელია სავალუტო რისკების თავიდან აცილება.
- ✓ გაუქმდა დადგენილი სესხის მაქსიმალური ვადა - 7 წელი, რადგან ხშირ შემთხვევაში სესხით დაფინანსებული საქმიანობიდან მისაღები შემოსავლები სესხის 7 წლის ვადაში სრულად დაფარვისთვის არასაკმარისი იყო. ამასთან, შემცირდა თანადაფინანსების პერიოდი და განისაზღვრება სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არაუმეტეს მომდევნო 66 თვით. ამ ვადაში ყველაზე გრძელვადიანი პროექტიდანაც შესაძლებელი იქნება საწყისი შემოსავლის მიღება.
- ✓ შეიცვალა პირობები საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით: სესხის გაცემა შესაძლებელია, როგორც ფიქსირებული, ასევე მცურავი საპროცენტო განაკვეთით. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, გრძელვადიან საკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობის ამაღლებისთვის დაწესდა მცურავი საპროცენტო განაკვეთი, რაც კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს გასცეს გრძელვადიანი სესხები.
- ✓ ცვლილება განხორციელდა მეორად უზრუნველყოფასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, მეორადი უზრუნველყოფა ძალაში იქნება იმ შემთხვევაში თუ

სესხის პირველად უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ ის ქონება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსდება სესხის თანხით.

პროგრამა განხორციელდა შეუფერხებლად. სესხის აღების შესაძლებლობებთან და პროცედურებთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა ხორციელდებოდა როგორც პოტენციურ და არსებულ ბენეფიციარებთან, ასევე, საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, როგორც პირდაპირი კომუნიკაციით - შეხვედრების ფორმატში პროგრამის პრეზენტაციით და ქოლ ცენტრის საშუალებით, ასევე სატელევიზიო რეპორტაჟებით და სხვა სახის დახმარებით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, პროექტში შესული ცვლილებების შესაბამისად პროექტში ჩართულ საფინანსო ინსტიტუტებთან გაფორმდა ხელშეკრულებები. პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ვიზიტები სხვადასხვა რეგიონში და მომზადდა რეპორტაჟები ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გადაიარაღების/გაფართოების შესახებ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

საანგარიშო პერიოდში ბენეფიციარებისთვის გაცემული სესხების რაოდენობამ სულ 2 400 ერთეული შეადგინა, ხოლო მათ მიერ მოზიდული საკრედიტო რესურსის მოცულობამ - 276,298,612.0 ლარი და 4,356,223.0 აშშ დოლარი. ფუნქციონირება დაიწყო 15-მა[1] ახალმა საწარმომ, სადაც ჯამურად 12,440,947.0 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. აღნიშნული მოცულობიდან, პროგრამის ფარგლებში 4,437,947.0 აშშ დოლარის მოცულობის სესხი გაიცა, ხოლო ბენეფიციარების თანადაფინანსებამ დაახლოებით 8,003,000.0 აშშ დოლარი[2] შეადგინა. 15 ახლადგახსნილ საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობამ 521 ადამიანი შეადგინა, საიდანაც 75 ადამიანი სეზონურად არის დასაქმებული.

2017 წლის განმავლობაში 1.1.1 აქტივობის განხორციელების შედეგად ფინანსური მხარდაჭერა გაეწია მთლიანობაში 169 არსებული და ახალი საწარმოების შექმნა/გაფართოება მოდერნიზაციას, ნაცვლად 110-ისა.

სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების თანხამ 48,480,249.0 ლარი შეადგინა, ნაცვლად 47,000,000.0 ლარისა.

აქტივობა 1.1.1: სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნის და/ან არსებულის გაფართოების ხელშეწყობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
შესრულების ინდიკატორები

[1] *შენიშვნა: პროექტების ნაწილის დაფინანსება ხდებოდა არა მარტო 2017 წელს, არამედ 2013-2016 წლების პერიოდშიც*

[2] შენიშვნა: ბენეფიციარების სატელეფონო გამოკითხვის შედეგები.

დაგეგმილი: ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა 110-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/ მოდერნიზებას	**შესრულებული:** ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 169 ახალი და არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/ მოდერნიზებას
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 47,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 48,480,249.0 ლარი
შესრულებულია გადაჭარბებით	

- **აქტივობა 1.1.2:** აგროსექტორში წარმოების რისკების შემცირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა აგროდაზღვევის უზრუნველყოფით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პარტნიორი ორგანიზაცია (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

აქტივობის მიზანი: აქტივობა მიმართულია სოფლის მეურნეობის სექტორში მოღვაწე კომპანიების ხელშეწყობისკენ და მიზნად ისახავს ბუნებრივი მოვლენებისგან მიყენებული შესაძლო რისკების შემცირებას. პროგრამა ითვალისწინებს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის (რომელზეც გაშენებულია მარცვლეული და სხვა კულტურები) დაზღვევას სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლის და ყინვისგან მიყენებული ზარალისაგან.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, პროგრამის განხორციელების მიზნით, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები სადაზღვევო კომპანიებთან. განხორციელდა ვიზიტები რეგიონებში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდა დეტალური ინფორმაცია 2017 წლის აგროდაზღვევის პროგრამის პირობების შესახებ. ასევე, განხორციელდა ვიზიტები რეგიონში ზიანის შეფასების პროცესის დაკვირვების მიზნით. პროგრამა გაშუქდა ტელევიზიით. განხორციელდა სადაზღვევო პოლისების დოკუმენტური მონიტორინგი და გადაირიცხა ფინანსური რესურსი სადაზღვევო პრემიებისთვის. განისაზღვრა 2018 წლის პროგრამაში შესატანი ცვლილებები მისი ეფექტიანი განხორციელების მიზნით და დაიწყო კონსულტაციები სადაზღვევო კომპანიებთან.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის მიზნით სულ გაიცა 21 394 პოლისი. დაზღვეული მოსავლის ღირებულება 138,727,403.0 ლარს შეადგენს, ხოლო სააგენტოს მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის წილი - 7,410,121.0 ლარის ღირებულებისაა.

2017 წლის განმავლობაში დაზღვეული ფართობის მოცულობამ 20 717 ჰა შეადგინა.

აქტივობა 1.1.2: აგროსექტორში წარმოების რისკების შემცირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა აგროდაზღვევის უზრუნველყოფით	
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პარტნიორი ორგანიზაცია (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 5 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დაზღვევა	**შესრულებული:** დაზღვეულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 20 717 ჰა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 7,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 7,108,100.0 ლარი
შესრულებულია გადაჭარბებით	

- **აქტივობა 1.1.3:** ახალი ინტენსიური/ნახევრად ინტენსიური ხილის ბაღების გაშენების და მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების გაშენების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამა "დანერგე მომავალის" ფარგლებში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პარტნიორი ორგანიზაცია (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

აქტივობის მიზანი: აქტივობა მიმართულია მრავალწლოვანი ნარგავების და სანერგე მეურნეობების გაშენების მხარდაჭერისკენ და ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში. პროგრამას 2 მთავარი მიმართულება აქვს: 1) მრავალწლოვანი ბაღების განვითარების ფინანსური მხარდაჭერა და 2) ადგილობრივი მაღალხარისხიანი, ფიტოსანიტარიულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების ფინანსური მხარდაჭერა.

განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, რეგიონებში განხორციელდა 20-მდე ვიზიტი პროგრამის ფარგლებში გაშენებული ბაღების დასათვალიერებლად, მიმდინარე პრობლემების შესასწავლად და პროგრამის პოპულარიზაციისათვის, რომელიც შემდგომში გაშუქდა ტელევიზიით. ასევე, ტელევიზიის საშუალებით მოხდა პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

გარდა ამისა, ტექნიკური დახმარების მიმართულებით ბენეფიციარებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაუტარდათ სემინარი პირველადი წარმოების სტანდარტის GLOBAL GAP-ის მიმართულებით. დაფინანსებულ ბენეფიციარებს ჩაუტარდათ ტრეინინგები სსიპ სამეცნიერო კვლევით ცენტრთან ერთად წარმოების თანამედროვე ასპექტებში (ჯიშების შერჩევა, სხვლა- ფორმირება და მცენარეთა ინტეგრირების დაცვა), როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მიმართულებით.

პროექტში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: სანერგე მეურნეობების კომპონენტში, პროექტის ბენეფიციარს მიეცა საშუალება, რომ ეწარმოებინა მხოლოდ ერთი მრავალწლიანი კულტურის ნერგები. ასევე, სააგენტოს დონეზე გამკაცრდა საჯარიმო სანქციები, რომლებიც იქნება გამოყენებული ბენეფიციარების მიერ, თანადაფინანსების ხელშეკრულების პირობების დარღვევების შემთხვევებში.

პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ვიზიტები პროგრამის ფარგლებში გაშენებულ სხვადასხვა ბაღებში და მომზადდა რეპორტაჟები, რომელიც გაშუქდა მედია საშუალებებით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

შესრულების ინდიკატორი მოიცავს 1. მრავალწლოვანი ნარგავების ბაღების გაშენების და 2. ახალი სანერგე მეურნეობების გაშენების ფინანსურ მხარდაჭერას. 2017 წლის განმავლობაში:

1. მრავალწლოვანი ნარგავების ბაღების გაშენების მიზნით სააგენტომ განიხილა და დაამტკიცა 306 განაცხადი. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობამ 10,082,515.0 ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანად, ამ აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო თანხამ 10,960,589.0 ლარი შეადგინა ნაცვლად საპროგნოზო 7,000,000.0 ლარისა.
2. სანერგე მეურნეობის თანადაფინანსება 2017 წელს არ განხორციელებულა, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ შემოსული განაცხადები არ აკმაყოფილებდა პროგრამის მოთხოვნებს, რაც აისახა ინდიკატორის და ბიუჯეტის შესრულებაზე.

აქტივობა 1.1.3: ახალი ინტენსიური/ნახევრად ინტენსიური ხილის ბაღების გაშენების და მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობების გაშენების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამა "დანერგე მომავალის" ფარგლებში	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: <u>- 700 ჰექტარი</u> ახალი მრავალწლიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღის გაშენება <u>- 2</u> ახალი სანერგე მეურნეობის გაშენება	**შესრულებული:** <u>- 1,080.5 ჰექტარი</u> ახალი მრავალწლიანი კულტურის თანამედროვე ტიპის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღის გაშენება - სანერგე მეურნეობა არ გაშენებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>7,000,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>10,960,589.0</u> ლარი
<u>**დიდწილად შესრულდა**</u> - გადაჭარბებით შესრულდა მრავალწლოვანი ნარგავების ბაღების გაშენება;	

- ახალი სანერგე მეურნეობები არ გაშენებულა.

- **აქტივობა 1.1.4:** ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამა "ქართული ჩაის" ფარგლებში

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> ჩაის პლანტაციების გაშენების და ადგილობრივი ჩაის წარმოების ხელშეწყობა მათი რეაბილიტაციის თანადაფინანსებით. აქტივობა ხორციელდება ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა ვიზიტები იმერეთის, გურიის, სამეგრელოს რეგიონებში და აჭარაში. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით შეირჩა დამატებით რამდენიმე კომპანია. პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა სატელევიზიო რეპორტაჟები როგორც პროგრამაში ჩართული, ასევე პოტენციური ბენეფიციარების შესახებ და ასევე, პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

პროგრამაში ჩაერთო 18 ბენეფიციარი, სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციების ჯამურმა ფართობი - 347 ჰა შეადგინა, ხოლო რეაბილიტირებული პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება 886,621.0 ლარით განისაზღვრა. თანადაფინანსების მოცულობამ 618,588.0 ლარი შეადგინა.

პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის ხელშემშლელი ძირითადი ფაქტორები იყო სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამის აგროვადებში ვერ მოსწრება და დაურეგისტრირებელი პლანტაციების რეგისტრაციის დროში გაჭიანურება. აღნიშნული ფაქტორების ბენეფიციარებთან ყოველდღიური კომუნიკაციით და შესაბამისი საკონსულტაციო და სხვა დახმარების შედეგად, შესრულების ინდიკატორის სამიზნე ნიშნულები მიღწეულია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში რეაბილიტირებულ იქნა 313 ჰა ფართობის ჩაის პლანტაციები.

პროგრამის განხორციელების მიზნით, სახელმწიფოს მიერ გაწეულმა ხარჯმა 661,024.0 ლარი შეადგინა, ნაცვლად 400,000.0 ლარისა.

აქტივობა 1.1.4: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამა "ქართული ჩაის" ფარგლებში
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 180 ჰა-მდე ფართობის ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია	**შესრულებული:** რეაბილიტირებულია 313 ჰა ჩაის პლანტაციები
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>400,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>661,024.0</u> ლარი
<u>**შესრულებულია გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 1.1.5:** სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების განვითარების ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერით. აქტივობა ხორციელდება გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, პროექტის დახვეწის მიზნით განხორციელდა პროექტის დოკუმენტაციის ცვლილება, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ. მომზადდა რეპორტაჟები და გაშუქდა საწარმოთა გახსნის პროცესი. სააგენტოს ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა პროექტის ბენეფიციარი საწარმოების მიერ სააგენტოს ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიღებული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

2017 წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია იმ პროექტებს, რომლებმაც დააკმაყოფილეს პროექტის პირობები. ბენეფიციარებისთვის ჩატარდა ტრენინგები, მათ შორის, ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარდა მენეჯმენტისა და სურსათის უვნებლობის (GLOBAL GAP) 2 ტრენინგი; ბენეფიციარებს მხარდაჭერა გაეწია HACCP და ISO 22000 სტანდარტების დანერგვაში. პროექტის ფარგლებში ამოქმედებულმა ახალმა საწარმოებმა, სახელმწიფოს დახმარებით, მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში.

პროექტის ფარგლებში, ჯამში 18 მუნიციპალიტეტში 29 ახალი საწარმო შეიქმნა,

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში ფინანსური მხარდაჭერის მიზნით დამტკიცდა 12 განაცხადი საწარმოების შექმნის და განვითარების მიზნით. პროექტების ჯამური ღირებულება 8,388,673 ლარს და 4,352,032.0 აშშ დოლარს შეადგენს. სახელმწიფოს მხრიდან ამ პროექტების თანადაფინანსების მოცულობა 2,310,308.0 ლარი და 1,585,474.0 აშშ დოლარს შეადგენს.

შესაბამისად, ნაცვლად 6 ახალი საწარმოსი, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 12 ახალი საწარმოს გახსნას. ამავე დროს, საპროგნოზო ბიუჯეტი ნაწილობრივ შესრულდა და ნაცვლად გათვალისწინებული 5,000,000.0 ლარისა, 2,950,249.0 ლარი შეადგინა.

აქტივობა 1.1.5: სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მინიმუმ 6 ახალი საწარმოს შექმნის ფინანსური მხარდაჭერა	**შესრულებული:** გაიხსნა 12 ახალი საწარმო
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>5,000,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>2,950,249.0</u> ლარი
<u>**დიდწილად შესრულდა**</u> - ინდიკატორი შესრულებულია გადაჭარბებით - ბიუჯეტი შესრულდა ნაწილობრივ	

- **აქტივობა 1.1.6:** სოფლად სამელიორაციო სისტემის მოდერიზაცია/გაუმჯობესება მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u> (განმახორციელებელი): შპს "საქართველოს მელიორაცია".

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად სარწყავი და საირიგაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, სოფლად საირიგაციო და სარწყავი სისტემების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა, მათ შორის:

- ✓ მაგისტრალური არხების და სხვა რიგის გამანაწილებლების, შიდასამეურნეო სარწყავი ქსელისა და სხვა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- ✓ არხების მოპირკეთება-აღდგენა, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გამანაწილებელი არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა;
- ✓ კონფლიქტის ზონის საზღვრისპირა სოფლების სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფის მიზნით, მცირე სიმძლავრის სატუმბი სადგურების მოწყობა;
- ✓ არსებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია და მათი ელექტრო-მომარაგების ქსელში ჩართვა;
- ✓ ახალი სათავე ნაგებობების მოწყობა, არსებული ნაგებობების ელ-მექანიკური მოწყობილობების აღდგენა და ახლით შეცვლა;
- ✓ სარწყავი სისტემების ზონაში დამშრობი (საკოლექტორო) ქსელის რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- ✓ ძირითადი წყალშემკრები საკოლექტორო არხებისა და შიდა სამეურნეო დამშრობი ქსელის რეაბილიტაცია;
- ✓ კოლხეთის დაბლობზე დრენაჟის სისტემების რეაბილიტაცია.

2017 წლის განმავლობაში 6 რეგიონში - შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის და იმერეთის რეგიონებში (19 მუნიციპალიტეტში) დასრულდა 42 პროექტი, მათ შორის, სარწყავი არხების რეაბილიტაციის, სათავე ნაგებობების, სატუმბების, წყალსაგდების კვანძების და შიდა სამეურნეო ქსელების მოწყობის მიმართულებით.

ამავე პერიოდში, დამშრობი სისტემების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა გაწმენდითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, რეგიონებში და აჭარაში (8 მუნიციპალიტეტში).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა 17 500 ჰა ფართობის სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფისკენ მიმართული სამუშაოები, ნაცვლად 7 500 ჰა-ისა; 130 ჰა-ის ნაცვლად ათვისებულია 440 ჰა-მდე ახალი სარწყავი მიწები; რეაბილიტირებული დაშრობილი მიწის ფართობმა ნაცვლად 1 600 ჰა-ისა, შეადგინა 2 500 ჰა; გაიწმინდა და მოწესრიგდა 2 042 კმ სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი, ნაცვლად 800 კმ-ისა. ამავე დროს, ნაცვლად ნავარაუდევი 70 კმ-ისა, შეკეთდა/შეიცვალა 29 კმ სიგრძის მილსადენები.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებზე, საპროგნოზო 48,000,000.0 მლნ ლარის ნაცვლად გახარჯულია სულ 41,900,000.0 მლნ ლარი.

აქტივობა 1.1.6: სოფლად სამელიორაციო სისტემის მოდერიზაცია/გაუმჯობესება მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პარტნიორი ორგანიზაცია (განმახორციელებელი): შპს „საქართველოს მელიორაცია“	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 1. სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 7 500 ჰა-ზე; 2. ახალი სარწყავი მიწების ათვისება - დაახლოებით 130 ჰა; 3. რეაბილიტირებული დაშრობილი ფართობი - დაახლოებით 1 600 ჰა; 4. გაიწმინდება და მოწესრიგდება დაახლოებით 800 კმ. სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; 5. შეკეთდება ან შეიცვლება სავარაუდოდ 70 კმ მილსადენი	**შესრულებული:** 1. სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 17 500 ჰა-ზე; 2. ათვისებულია 440 ჰა-მდე ახალი სარწყავი მიწები 3. დაშრობილია ფართობი - დაახლოებით 2 500 ჰა; 4. გაწმენდილი და მოწესრიგებულია დაახლოებით 2 042 კმ. სიგრძის სარწყავი და სადრენაჟე არხი; 5. შეკეთებული ან შეცვლილია 29 კმ მილსადენი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 48,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 41,900,000.0 ლარი
დიდწილად შესრულდა -პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 ინდიკატორები შესრულებულია გადაჭარბებით, მე-5 ინდიკატორი შესრულებულია ნაწილობრივ - ბიუჯეტი შესრულებულია ნაწილობრივ	

- **აქტივობა 1.1.7:** ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა პოპულარიზაციით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პარტნიორი ორგანიზაცია: სსიპ "ღვინის ეროვნული სააგენტო".

აქტივობის მიზანი: ადგილობრივად წარმოებული აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, საქართველოში წარმოებული პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, აგროსასურსათო პროდუქტის მწარმოებელმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებსა თუ სხვა ღონისძიებებში, რომლებიც მიმართული იყო საქართველოში წარმოებული პროდუქტის შესახებ ცნობადობის გაზრდასა და მათ პოპულარიზაციაზე. მათ შორის:

- ✓ ადგილობრივმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს **საზღვარგარეთ** ბერლინში (გერმანია, „მწვანე კვირეული“), დუბაიში (არაბთა გაერთიანებული ემირატები, „გალფფუდი 2017“), სტრასბურგში (საფრანგეთის რესპუბლიკა), ბაქოში (აზერბაიჯანი, „Caspian Agro 2017“), სტამბულში (თურქეთი) მინსკში (ბელორუსის რესპუბლიკა, „ბელაგრო 2017“), რიგაში (ლატვიის რესპუბლიკა, :Riga Food 2017“) ორგანიზებულ **სულ 7 საერთაშორისო ღონისძიებაში** (გამოფენა/გაყიდვა/დეგუსტაციები), სადაც ასევე გამოფენილი იყო საქართველოში წარმოებული ალკოჰოლური და არა ალკოჰოლური სასმელები და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.
- ✓ ასევე, 2017 წლის აპრილში გაიმართა **საერთაშორისო ფესტივალი** სახელწოდებით „თბილისის ჩაის ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა და ასევე უცხოურმა ჩაის მწარმოებელმა კომპანიებმა.
- ✓ 2017 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სახელმწიფო პროექტების ფარგლებში დაფინანსებული აგრარული მიმართულების საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქცია - სხვადასხვა სახის თაფლი და თაფლის პროდუქტები, ღვინისა და ყველის ნაირსახეობა, კომპოტები და წვენები, ჯემებისა და მურაბების ნაირსახეობა, ზეთისხილი და სოკო.
- ✓ 2017 წლის ნოემბერში გაიმართა ყველის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველის მწარმოებელმა 50-მა კომპანიამ. წარმოდგენილი იყო ყველის მრავალი სახეობა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ასევე ღვინის და თაფლის მწარმოებელმა კომპანიებმა.

ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და მოლაპარაკებები ქართულ და უცხოურ კომპანიების წარმომადგენლებს შორის ადგილობრივი პროდუქტის ექსპორტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- ✓ გამოფენა „მწვანე კვირეულის“ ფარგლებში, ორმხრივი შეხვედრები გაიმართა საქართველოს და სხვადასხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრებს შორისაც.
- ✓ „გალფფუდი 2017“ გამოფენის ფარგლებში, რომლის საფუძველზე ექსპორტზე გავიდა ქართული შავი მოცვი და ცნობილ ჰიპერმარკეტის ქსელში“LULU” -ში დაიკავა ადგილი.
- ✓ “ბელაგრო 2017”გამოფენის ფარგლებში, კომპანია „გიუან“-თან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები თანამშრომლობის თაობაზე.
- ✓ „Бельплемжив” გაერთიანების ხელმძღვანელობასთან განხილული იქნა მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით სელექციის ცენტრის ორგანიზება, ამ მიზნით გაერთიანების წარმომადგენლები სამუშაო

ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, საკითხის განხილვა, დაზუსტება ობიექტის შერჩევა.

- ✓ გამოფენა "Riga Food 2017" ფარგლებში ქართულმა კოოპერატივმა „სკა" მოლაპარაკება აწარმოა არაბული კოოპერატივის წარმომადგენლებთან და შემოთავაზება მიიღო ქართული თაფლის (150ტ) ექსპორტზე.

2017 წლის მონაცემებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი რიგ საექსპორტო ბაზრებზე, მათ შორის: გერმანიაში (52.3%-ით)[3], არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში (40%-ით), ბელორუსში (36%-ით), ლატვიაში (43%-ით), აზერბაიჯანში (2.3-ჯერ).

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, 2017 წლის განმავლობაში ქართული ღვინო და ღვინის კომპანიები, ღვინის პოპულარიზაციის და ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით წარმოდგენილი იყვნენ 22 საერთაშორისო გამოფენაზე მსოფლიოს 11 ქვეყანაში. ჩატარდა 200-ზე მეტი ღონისძიება - მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ გამოფენებზე, დეგუსტაციებზე, პრეზენტაციებზე, სემინარებსა და შეხვედრებზე, მათ შორის, შემდეგ ქვეყნებში, აშშ, ჩინეთი/ჰონგ-კონგი, სინგაპური, საფრანგეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბალტიისპირეთის ქვეყნები, იაპონია, პოლონეთი, ბელგია, შვედეთი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში (Cité des Civilisations Du Vin) გამოფენა „საქართველო - ღვინის აკვანი" თითქმის ოთხი თვის მანძილზე მიმდინარეობდა. გამოფენა 31 ივლისს გაიხსნა და 14 სექტემბერს ცენტრის შესასვლელში მუდმივ ექსპოზიციად ქართული ქვევრი დაიდგა „იუნესკოს" მიერ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეყვანასთან დაკავშირებით.

ანალიზის საფუძველზე შერჩეულ იქნა შემდეგი სტრატეგიული და პრიორიტეტული ბაზრები: ჩინეთი, აშშ, პოლონეთი, იაპონია, ბალტიისპირეთის ქვეყნები და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო.

გარდა საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისა, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 2017 წელს საქართველოს მრავალი ღვინის პროფესიონალი ეწვია და ადგილზე დააგემოვნა ქართული ღვინო, გაეცნო ქართული ღვინის კულტურას და ტრადიციებს, მათ შორის იყვნენ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) წარმომადგენლები, აშშ-ს, იაპონიის, ჰოლანდიის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები პროფესიული სფეროდან. საქართველოს ასევე სტუმრობდნენ სხვადასხვა ქვეყნის მედიის წარმომადგენლები.

---

[3] შენიშვნა: მხედველობაში არ არის მიღებული თხილი, როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული სახით

2017 წელს, ღვინის ექსპორტის უპრეცედენტო მაჩვენებელი დაფიქსირდა - 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 76,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 54%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ღირებულებით 170 მლნ აშშ დოლარამდე, რაც 49%-ით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე. აღნიშნულ პერიოდში ღვინის ექსპორტი 250-მდე კომპანიამ განახორციელა. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 283,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - რაც 2016 წელთან შედარებით 46%-ით მეტია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ქართული ღვინო და აგროსასურსათო პროდუქცია წარმოდგენილი იყო 30 საერთაშორისო ღონისძიებაზე, ნაცვლად 10-სა. ღვინის ექსპორტმა 2017 წელს 283,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 46%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მონაცემს.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტის - 6,000,000.0 ლარის ნაცვლად, დახარჯულია 7,888,979.0 ლარი, მათ შორის, 6,890,000.0 ლარი სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს, ხოლო 991,979.0 ლარი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

აქტივობა 1.1.7: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა პოპულარიზაციით	
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პარტნიორი ორგანიზაცია: სსიპ "ღვინის ეროვნული სააგენტო".	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ქართული ღვინისა და აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის და ექსპორტის ზრდის მიზნით, არანაკლებ 10 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა და ღვინის ექსპორტის ზრდა.	**შესრულებული:** ქართული ღვინო და აგროსასურსათო პროდუქცია წარმოდგენილი იყო საერთო ჯამში 30 საერთაშორისო ღონისძიებაში. 2017 წელს, ღვინის ექსპორტი 2016 წელთან შედარებით 49%-ით არის გაზრდილი (ღირებულება).
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 6,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 7,881,979.0 ლარი
გადაჭარბებით შესრულდა	

- **აქტივობა 1.1.8:** სოფლად მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით კოოპერატივების შექმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია (განმახორციელებელი):</u> სსიპ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო"

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობის ზრდა კოოპერატივების ფინანსური და სხვა სახის ტექნიკური მხარდაჭერით. აქტივობა განხორციელდა მეფუტკრეობის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდა მეფუტკრეობის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის მიმართულებით.

- კოოპერატივების მხარდაჭერა მევენახეობის და რძის გადამუშავების სფეროში

<u>მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა</u>

პროგრამის მიზანია მევენახეობის სფეროში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერით, კოოპერატივების მიერ წარმოებული ყურძნის გადამუშავების ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება და წარმოებული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

კახეთის რეგიონში, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ყურძნის გადამამუშავებელი 3 საწარმო გაიხსნა.

სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაერთიანებულია ჯამში 60 -ზე მეტი მეპაიე, ხოლო კოოპერატივებში მობილიზებული ვენახი 70 ჰა-ზე მეტს შეადგენს.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კოოპერატივებიდან თითოეულმა 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა მიიღო. კოოპერატივმა კი უზრუნველყო საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობით კოოპერატივის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, შემოსავალი ყურძნის რეალიზაციის გარდა, ღვინის რეალიზაციიდანაც მიიღონ. აღნიშნული პროგრამა 2017 წელს პირველად განხორციელდა.

<u>რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა</u>

პროგრამის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბება, რძის და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება. კოოპერატივებს ეძლევათ საშუალება, სტანდარტების დაცვით მოახდინონ რძის მიღება. ერთის მხრივ - ერთობლივად მიაწოდონ რძე რძის საწარმოებს, მეორეს მხრივ - მიიღონ მეპაიეების წარმოებული რძე და აწარმოონ რძის პროდუქტები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საწარმოო ციკლის ფარგლებში კოოპერატივების მეპაიეების შემოსავლების ზრდას.

2017 წელს, 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელშიც გაწევრიანებულია 167 მეპაიე და საკუთრებაში გააჩნიათ 2297 ფური, გადაეცა სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა ასევე მიიღეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული კოოპერატივის ვალდებულებას წარმოადგენდა საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება, რომელშიც განთავსდა კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში გადაცემული დანადგარები.

აღსანიშნავია, რომ გამომდინარე იქედან, რომ რძის მწარმოებელი კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა გასულ წლებშიც ხორციელდებოდა და კოოპერატივების მიერ მიღებული სარგებელი ცნობილი გახდა, მოთხოვნა გაიზარდა 2017 წელს.

2016-2017 წლებში, ჯამში დაფინანსდა 19 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, 8 მუნიციპალიტეტში.

- კოოპერატივების მხარდაჭერა მეფუტკრეობის სფეროში

<u>მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა</u>

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

2017 წელს, მეფუტკრეობის 67 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელშიც გაერთიანებულია 799 მეპაიე, გადაეცა 4592 სკა (მათ შორის ხისა და პენოპოლისტიროლის სკები), 25 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 286 მეპაიეს გადაეცა 55000 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ჭურჭელი, 21 კოოპერატივს გადაეცა 21 ერთეული თაფლის საწური ციბრუტი, ხოლო 22 კოოპერატივს 22 ერთეული ფიჭის ასათლელი დანა.

აღსანიშნავია, რომ გამომდინარე იქედან, რომ მეფუტკრეობის კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა გასულ წლებშიც ხორციელდებოდა და

კოოპერატივების მიერ მიღებული სარგებელი ცნობილი გახდა, მოთხოვნა გაიზარდა 2017 წელს.

ჯამში, 2016-2017 წლებში დაფინანსდა 231 სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივი, 42 მუნიციპალიტეტში

- კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სურსათის წარმოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების (ISO, Global Gap, HACCP) დანერგვასთან დაკავშირებით, 2017 წელს განხორციელდა მხოლოდ წინა მოსამზადებელი სამუშაოები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის ტექნიკური დახმარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. მომზადდა და მიღებულია მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმად, კონკრეტული აქტივობების განხორციელება დაიწყება 2018 წელს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, მთლიანობაში 13 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვა ყურძნის/რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობით, ნაცვლად 10-ისა, მათ შორის, 10 რძის მწარმოებელი და 3 მევენახეობის კოოპერატივი; მეფუტკრეობის 67 კოოპერატივი აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, ნაცვლად 28-ისა; საერთაშორისო სტანდარტების (ISO, Global Gap, HACCP) დანერგვა კოოპერატივებში არ განხორციელებულა, ჩატარდა მხოლოდ წინამოსამზადებელი სამუშაოები.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების, კერძოდ კი 2 ღონისძიების - ყურძნის/რძის მიმღებ-გადამამუშავებელი კოოპერატივების და მეფუტკრეობის კოოპერატივების აღჭურვის მიზნით, მთლიანი აქტივობის საპროგნოზო ბიუჯეტის - 4,870,000.0 ლარის ნაცვლად, დახარჯულია 2,737,331.0 ლარი.

აქტივობა 1.1.8: სოფლად მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით კოოპერატივების შექმნის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. <u>პარტნიორი ორგანიზაცია (განმახორციელებელი):</u> სსიპ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო"	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: - დაახლოებით 10-მდე კოოპერატივის აღჭურვა ყურძნის ან/და რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობით; - დაახლოებით 28-მდე კოოპერატივის აღჭურვა თაფლის და ფუტკრის პროდუქტების	**შესრულებული:** - 13 კოოპერატივი აღჭურვილია ყურძნის/რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობით; - 67 კოოპერატივი აღჭურვილის თაფლის და ფუტკრის პროდუქტების წარმოებისათვის

წარმოებისათვის საჭირო ინვენტარით (სკები, თაფლის საწურები, ავზები, ფიჭის ასათლელი). - დაახლოებით 7-მდე კოოპერატივში დაინერგება საერთაშორისო სტანდარტები (ISO, Global Gap, HACCP)	საჭირო ინვენტარით (სკები, თაფლის საწურები, ავზები, ფიჭის ასათლელი). - კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტები (ISO, Global Gap, HACCP) არ დანერგილა, განხორციელდა წინა-მოსამზადებელი სამუშაოები
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 4,870,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 2,737,331.0 ლარი
დიდწილად შესრულებულია -გადაჭარბებით არის შესრულებული პირველი და მეორე ინდიკატორები, მესამე ინდიკატორი არ არის შესრულებული -ბიუჯეტი ნაწილობრივ არის შესრულებული	

ამოცანა 1.2. დივერსიფიცირება. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით.

1.2 ამოცანის შესრულების - სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირების და არასასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის განვითარების მიზნით 1 აქტივობა განხორციელდა, რომელიც, თავის მხრივ მოიცავს ინდუსტრიული წარმოების განვითარებას და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერას სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში.

ამოცანის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ბიუჯეტი სულ 32,050,000.0 ლარით განიზაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერა გაეწია:

- ⇒ **174 საშუალო კომპანიას არასასოფლო-სამეურნეო სფეროში, რის შედეგადაც დასაქმდა 7600-ზე მეტი ადამიანი;**
- ⇒ **3489 მიკრო და მცირე მეწარმე-სუბიექტს;**
- ⇒ **5694 ადამიანის შესაძლებლობების გაძლიერებას**

1.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 32,050,000.0 ლარი დიდწილად შესრულებულია. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, აქტივობის განხორციელებისთვის გახარჯულია 23,690,958.9 ლარი.

- **აქტივობა 1.2.1:** სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა
  <u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ „აწარმოე საქართველოში“

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“; სსიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> აქტივობა მიმართულია სოფლის ეკონომიკის და შესაბამისად - შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირებისკენ არასასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის მხარდაჭერის გზით ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გაფართოება-გადაიარაღების და ასევე სოფლად მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში სსიპ "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 64 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ავეჯის, მინერალური წყლების, სამშენებლო მასალების წარმოების, პოლიგრაფიული წარმოების და სხვა სფეროებში და მოიცვა იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონები. ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 395 მლნ. ლარი, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 7600-ზე მეტია. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 2109 ბიზნეს პროექტი (3498 ბენეფიციარი) ასევე, გადამზადებულია 5694 ბენეფიციარი.

"აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტთან მიმართებაში გასათვალისწინებელია პროგრამის სპეციფიკა, რომლის მიხედვითაც, სააგენტო ბენეფიციარის თანადაფინანსებას ახდენს კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კომპონენტის ფარგლებში, 2017 წელს პროგრამაში ჩაერთო 64 კომპანია, სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება განხორციელდა **174** ბენეფიციარი კომპანიისთვის (რომლებთანაც ხელშეკრულების გაფორმება მოხდა 2015-2016 წლებში), ანალოგიური ეხება დასაქმების მიმართულებასაც, რომლის მაჩვენებელი 9 000-ს აღემატება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“:

- ✓ ინდუსტრიული წარმოების მიმართულების ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 174 კომპანიას, მათ შორის - 64 ახალ კომპანიას; ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 395 მლნ ლარი, ნაცვლად 320 მლნ. ლარისა. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვა მოხდა 320 მლნ. ლარის კომერციული სესხის გაცემის გათვალისწინებით, თუმცა ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ ნეგატიურად იმოქმედა

ბენეფიციარი კომპანიების მიერ აღებული კომერციული სესხის ჯამურ მოცულობაზე. დასაქმებულთა რაოდენობამ მიმდინარე პროექტებში 7639, მათ შორის, ახალ პროექტებში დასაქმდა 2100-ზე მეტი ადამიანი.

- ✓ მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 3498 ბენეფიციარს, ხოლო ბიზნეს-პროექტების რაოდენობამ 2109 შეადგინა.

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით, მიზნით საპროგნოზო ბიუჯეტის - 32,050,000.0 ლარის ნაცვლად, დახარჯულია 23,690,958.9 ლარი.

აქტივობა 1.2.1: სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ „აწარმოე საქართველოში“ <u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“; სსიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: -პროექტების რაოდენობა: 150-მდე -ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 320 მლნ. ლარი; -დასაქმებულთა რაოდენობა: 8000-მდე -რეგიონში შექმნილი მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტების (ბენეფიციარების) რაოდენობა: 1300-მდე -დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა: 3000-მდე	**შესრულებული:** - პროექტების რაოდენობა: ფინანსურად მხარდაჭერილი პროექტების რაოდენობა - 174, მათ შორის 64 ახალი. - ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 395 მლნ. ლარი; - დასაქმებულთა რაოდენობა: ჯამში 7600-ზე მეტი - რეგიონში შექმნილი მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტების (ბენეფიციარების) რაოდენობა: 3498; პროექტების რაოდენობა: 2109 - დატრენინგებული ბენეფიციარების რაოდენობა: 5694
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>32,050,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>23,690,958.9</u> ლარი
<u>**ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით**</u> <u>**ბიუჯეტი ნაწილობრივ შესრულდა**</u>	

ამოცანა 1.3. ტურიზმი სოფლად. სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.

1.3 ამოცანის შესრულების მიზნით 6 აქტივობა განხორციელდა, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, სასტუმროების განვითარების, შიდა ტურიზმის

წახალისების, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის და ტურისტული პროდუქტების განვითარების მიმართულებით, ასევე, სოფლად ღვინის ტურიზმის ხელშეწყობისა და კერძო სექტორის ტურისტული მომსახურების უნარების ამაღლების მიმართულებით.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილია:

- **34 სასტუმროს მშენებლობა-განვითარება, რომლის ფარგლებში დასაქმდა 1100-ზე მეტი ადამიანი**
- **1318 წარმომადგენელის გადამზადება და პროფესიული უნარების ამაღლება ტურიზმის სფეროში მოღვაწე კომპანიებიდან**

1.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 3,325,000.0 ლარი გადაჭარბებით არის შესრულებული. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, აქტივობების განხორციელებისთვის გახარჯულია 3,342,227.8 ლარი

- **აქტივობა 1.3.1:** სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის მიმართულების ფარგლებში სასტუმროების განვითარების მხარდაჭერა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ „აწარმოე საქართველოში“

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურის, კერძოდ კი სასტუმროების განვითარების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმდა 22 ახალ კომპანიასთან, რეგიონებში (მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, გურია), პროექტით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისი სასტუმროების განვითარების მიზნით. ახალ პროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა 750 ადამიანია, ხოლო ოთახების რაოდენობამ 697 შეადგინა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, პროგრამის სპეციფიკა, რომლის მიხედვითაც სააგენტო ბენეფიციარის თანადაფინანსებას ახდენს კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში. შესაბამისად, სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში, 2017 წელს თანადაფინანსება განხორციელდა სულ 34 ბენეფიციარი კომპანიისთვის (რომელთა

ნაწილთან ხელშეკრულების გაფორმდა 2015-2016 წლებში). ჯამური ინვესტიციების მოცულობა 96 მლნ. ლარს შეადგენს. ხოლო დასაქმების მაჩვენებელი 1100-ია (მათ შორის 579 ადამიანი დასაქმდა ახალ პროექტებში).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში სასტუმრო ინდუსტრიის მხარდაჭერის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 34, კომპანიას, ნაცვლად 30-ისა, მათ შორის, გაფორმდა ხელშეკრულება 22 ახალი სასტუმროს მშენებლობა/განვითარებაზე; ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 96 მლნ. ლარი, ნაცვლად ნავარაუდევი 40 მლნ ლარისა; პროექტების ფარგლებში დასაქმდა 1100-ზე მეტი ადამიანი, ნაცვლად 800-ისა. მხარდაჭერილ სასტუმროებში ახალი ოთახების ჯამურმა რაოდენობამ 1021 შეადგინა.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ნაცვლად პროგნოზირებული 1,500,000.0 ლარისა 1,679,375.8 ლარი შეადგინა.

აქტივობა 1.3.1: სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული და მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ „აწარმოე საქართველოში“ <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: - პროექტების რაოდენობა: 30-მდე - ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 40 მლნ. ლარამდე; - დასაქმებულთა რაოდენობა: 800-მდე - ახალი ოთახების რაოდენობა: 700-მდე	**შესრულებული:** - პროექტების რაოდენობა: ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 34 კომპანიას, - ჯამური ინვესტიციის მოცულობა: 96 მლნ. ლარი; - დასაქმებულთა რაოდენობა: 1100-ზე მეტი, - ახალი ოთახების რაოდენობა: 1021
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>1,500,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>1,679,375.</u>8 ლარი
<u>**შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 1.3.2:** შიდა ტურიზმის წახალისება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> შიდა ტურიზმის წახალისება სოფლად, სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით და ტურისტული ადგილების და პროდუქტების პოპულარიზაციით.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, საქართველოში სოფლის ტურიზმის, კერძოდ კი შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა სხვადასხვა ტიპის ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობდა როგორც შიდა ტურიზმის, ასევე, ტურისტული პროდუქტების მიმართ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობაში ინტერესის ზრდასა და ინფორმირებულობას, მათ შორის:

- ✓ „გაიცანი საქართველოს" ფარგლებში ჩატარდა **7 პრეს-ტური** (მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, ყაზბეგი, თუშეთი, პანკისი, რაჭა). აღნიშნული პრეს-ტურის ფარგლებში, ჟურნალისტებმა მოამზადეს სიუჟეტები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის სტიმულირებას. სიუჟეტების გასვლის შემდეგ, შესაბამის რეგიონებში შესამჩნევი გახდა ვიზიტორების რაოდენობის ზრდა. წარმატებას ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ რამდენიმე ტურის შემდეგ, თავად სასტუმროები და რეგიონალური მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მოგვმართავდნენ თანამშრომლობის და მასპინძლობის ინიციატივით. პრეს-ტურების ღირებულებამ 42,000.0 ლარი შეადგინა.
- ✓ განახორციელდა პროექტი Discount Week, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ტურისტული სერვისების ფასდაკლების კვირეულს. მისი მიზანია რეგიონის პოპულარიზაცია და არასეზონურ პერიოდში შიდა ტურიზმის წახალისება. 2017 წელს Discount Week-ის ორი ეტაპი ჩატარდა: კახეთში და აჭარაში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა **2 პრეს-ტური.** ფასდაკლებების კვირეულში მონაწილე სასტუმროებს, პროექტმა ხელი შეუწყო დამსვენებლების მოზიდვაში. პროექტის ღირებულება შეადგენს 14,000.0 ლარს.
- ✓ დამატებით განახორციელა **19 პრეს-ტური,** რომელთა ფარგლებში მომზადდა სიუჟეტები, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციასა და შიდა ტურიზმის სტიმულირებას. პრეს-ტურების ღირებულებამ 55,000.0 ლარი შეადგინა.
- ✓ რეგიონებში შიდა ტურისტული ნაკადის ზრდის მიზნით ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, ასევე, ქვეყნის მასშტაბით არსებული და ახალი ტურისტული ადგილებისა და პროდუქტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განახორციელა **16 ღონისძიება,** ღირებულება 487,700.0 ლარს შეადგენს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 44 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის, პრეს-ტურები შიდა ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით და სხვა ღონისძიებები არსებული და ახალი ტურისტული ადგილებისა და პროდუქტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, ნაცვლად საპროგნოზო 450,000.0 ლარისა შეადგინა 598,700.0 ლარი.

აქტივობა 1.3.2: შიდა ტურიზმის წახალისება	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მინიმუმ 15 ჩატარებული ღონისძიება საქართველოს მასშტაბით	**შესრულებული:** ჩატარებულია 44 ღონისძიება საქართველოს მასშტაბით
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 450,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 598,700.0 ლარი
შესრულდა გადაჭარბებით	

- **აქტივობა 1.3.3:** მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

აქტივობის მიზანი: ტურიზმის ხელშეწყობის და ტურისტების/ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ტურისტული ბილიკების და სხვა საჭირო ტურისტულ-საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდა. მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში განხორციელდა 2 რეგიონის რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამთო საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა. პროქტის ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში მოინიშნა 18 ბილიკი, დაიდგა 21 საინფორმაციო დაფა და ჯამში მოინიშნა 290 კმ., რომელთა ღირებულებამ 134,000.0 ლარი შეადგინა. სამეგრელოში მოინიშნა 9 ბილიკი, დაიდგა 10 საინფორმაციო დაფა, ჯამში მოინიშნა 248 კმ., რომელთა ღირებულებამ 94,700.0 ლარი შეადგინა. აღნიშული პროგრამის ფარგლებში.

სამთო საფეხმავლო ბილიკების ქსელის შექმნის პროექტში შესულმა ბილიკებმა ერთმანეთს დააკავშირა როგორც სხვადასხვა რეგიონის სოფლები, ასევე, ტურისტულად მიმზიდველი ადგილები. პროექტის განვითარებამ ხელი შეუწყო და წაახალისა ადგილობრივი სერვისების შექმნა და სამომავლოდ განვითარების პერსპექტივა. ასევე, უზრუნველყო მოლაშქრეების ბილიკზე უსაფრთხო გადაადგილების პირობები საინფორმაციო დაფებისა და ბილიკის მარკირების მეშვეობით. ახალი პროდუქტის ბროშურების შექმნით, შეიკრა ისეთი ტიპის

ინტერესები, რომელიც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება დაკვალიანებაში და ასევე, ადგილზე შექმნის ნაკადს, რომელიც გამოიწვევს მოთხოვნას სხვადასხვა მომსახურების გასაჩენად.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განხორციელდა 31 საინფორმაციო დაფის დამონტაჟება, ნაცვლად 40-ისა და 27 ტურისტული მარშრუტის მარკირება, ნაცვლად 40-ისა. მარკირებული მარშრუტების საერთო სიგრძე 538 კმ-ს შეადგენს.

ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ პროექტებზე მუშაობისას მოხდა რამდენიმე ბილიკის გაერთიანება და ქსელებად დაჯგუფება, მეტი ეფექტურობისთვის, შესაბამისად შეიცვალა ერთეული ბილიკების და საინფორმაციო დაფების ოდენობა.

აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის გახარჯულმა თანხამ, ნაცვლად საპროგნოზო 670,000.0 ლარისა შეადგინა 342,700.0 ლარი.

აქტივობა 1.3.3: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: -40 დამონტაჟებული საინფორმაციო დაფა; -40 მარკირებული მარშრუტი	**შესრულებული:** -31 დამონტაჟებული საინფორმაციო დაფა -27 მარკირებული ბილიკი *(მარკირებული მარშრუტების საერთო სიგრძე - 538 კმ)*
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>670,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>228,700.0</u> ლარი
<u>**ნაწილობრივ შესრულდა**</u>	

- **აქტივობა 1.3.4:** სოფლად ტურიზმის ზრდის მიზნით ტურისტული პროდუქტის განვითარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ტურისტული პროდუქტების ბრენდირება მათი პოპულარიზაცია.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, სოფლად ტურიზმის ზრდის მიზნით ტურისტული პროდუქტის განვითარების კუთხით, მომზადდა და დაიბეჭდა 5 სახეობის ახალი ტურისტული პროდუქტის ბროშურა:

1. გერმანული მემკვიდრეობა საქართველოში (გერმანულ ენაზე, 3000 ერთეული);
2. შიდა ქართლის სასკოლო ტურების კატალოგი (ქართულ ენაზე, 1000 ერთეული);
3. შიდა ქართლის ღვინის გზის ბროშურა (ინგლისურ ენაზე - 1500 ერთეული, რუსულ ენაზე - 1500 ერთეული);
4. შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის კატალოგი (ინგლისურ და რუსულ ენებზე);
5. ღვინის გზის განახლებული რუკა (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

პროექტის საერთო ბიუჯეტმა 7,731.0 ლარი შეადგინა. აღნიშნული ბროშურები ვრცელდება ქვეყნის მასშტაბით არსებული საინფორმაციო ცენტრების, საერთაშორისო გამოფენებისა და ადმინისტრაციის ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

2017 წელს მოკვლეული იქნა ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის 20 საფეხმავლო ბილიკი. ბილიკები გეგმარებულია როგორც რამდენიმე საათიანი, ასევე, ერთ ან ორ დღიანი მარშუტით, გათვალისწინებულია სირთულეები. მომზადებულია მონიშვნის პროექტები და განხორციელება მოხდება სამომავლოდ. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 114,000.0 ლარი.

გრემის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმებოდა საპიკნიკე და მოსასვენებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობასაც, თუმცა, შერჩეული მიწის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, პროექტი ვერ განხორციელდა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, შეიქმნა/განახლდა 5 ტურისტული პროდუქტი, რომლის ბიუჯეტმა ნაცვლად საპროგნოზო 165,000 ლარისა, შეადგინა 121,731.0 ლარი.

როგორც აღნიშნული იყო, საპიკნიკე და მოსასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ვერ განხორციელდა მიწის მესაკუთრეობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.

აქტივობა 1.3.4: სოფლად ტურიზმის ზრდის მიზნით ტურისტული პროდუქტის განვითარება
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
შესრულების ინდიკატორები

დაგეგმილი: 5 ახალი და განახლებული ტურისტული პროდუქტის სახეობა მინიმუმ 20 შემუშავებული საფეხმავლო მარშრუტი	**შესრულებული:** შექმნილი/განახლებულია 5 ტურისტული პროდუქტის სახეობა დაგეგმარებულია 20 საფეხმავლო მარშრუტი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 165,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 121,731.0 ლარი
ინდიკატორი შესრულებულია **ბიუჯეტი ნაწილობრივ შესრულდა**	

- **აქტივობა 1.3.5:** სოფლად ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება პროექტის „ღვინის გზა“ ფარგლებში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

აქტივობის მიზანი: სოფლად ღვინის ტურიზმის ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით მევენახეობა-მეღვინეების სფეროში მოღვაწე საოჯახო მარნებისა და საწარმოების შესახებ ცნობადობის გაზრდა

განხორციელებული ღონისძიებები

ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულმა ,,ღვინის გზის'' პროექტმა მოიცვა ყველა მცირე თუ საშუალო მეწარმე, რომელიც აწარმოებს ღვინოს და მასპინძლობს ტურისტებს. განხორციელდა ახალი მარნებისა და საწარმოების იდენტიფიცირება, ინვენტარიზაცია, შეფასება და რეკომენდირებული ობიექტებისთვის პროექტის მომზადება. აღნიშნულ მარნებსა და საწარმოებს დაუყენდათ საგზაო მიმართულების ბრენდირებული მანიშნებლები, რომელიც მხოლოდ პროექტში ჩართულ მეწარმეებს აერთიანებს. მომზადდა ,,ღვინის გზის“ რუკა ყველა მარნის საკონტაქტო ინფორმაციით. „ღვინის რუკა“ ვრცელდება საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით და ყველა სხვა საკომუნიკაციო არხებით - გამოფენა, ქსელური მარკეტინგი თუ სხვა.

ღვინის ტურიზმის სფეროში მოღვაწე მეწარმეების შესახებ მომზადებული ბროშურებისა და რუკების, საგზაო და საინფორმაციო დაფების მეშვეობით, პროექტი ხელს უწყობს და ეხმარება მოთხოვნისა და მიწოდების კავშირს, ასტიმულირებს ღვინის ტურიზმის და მომსახურეობის სექტორის განვითარებას.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, სოფლად ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სულ **224** საგზაო საინფორმაციო ,,ღვინის გზის'' ბრენდის სახელობითი მანიშნებელი დაუყენდა124 მარანსა და საწარმოს.

პროექტის მიხედვით საჭიროება შეიქმნა უფრო მეტი მანიშნებლის დამონტაჟების ვიდრე იყო განსაზღვრული, რამაც ამან გამოიწვია ბიუჯეტის გაზრდა და 413,721.0 ლარი შეადგინა, ნაცვლად გათვალისწინებული 300,000.0 ლარისა.

აქტივობა 1.3.5: სოფლად ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მცირე ინფრასტრუქტურის განვითარება პროექტის „ღვინის გზა“ ფარგლებში	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მინიმუმ 180 დამონტაჟებული მანიშნებელი საქართველოს მასშტაბით	**შესრულებული:** დამონტაჟებულია 224 მანიშნებელი 124 ობიექტისათვის საქართველოს მასშტაბით
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>300,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>413,721.0</u> ლარი
<u>**შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 1.3.6:** კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის ტრენინგების ჩატარება ტურიზმის სფეროში მოღვაწე სუბიექტებისთვის

განხორციელებული ღონისძიებები

ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების და ასევე შიდა ტურიზმის სტიმულირების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა სხვადასხვა ტიპის ტრენინგი როგორც ღვინის მარნების, ასევე, საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტების და გიდების ინდუსტრიის სპეციფიკური უნარების განვითარების მიზნით. ტრენინგები ადგილობრივ მეწარმეებს ეხმარება შეთავაზების უკეთ ჩამოყალიბებასა და გაყიდვების

სტიმულირებაში. ტრენინგები ხორციელდება კერძო სექტორის საჭიროებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე.

2017 წლის განმავლობაში ტრენინგები ჩატარდა შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ სასტუმროს პრობლემური სიტუაციების მართვა;
- ✓ გიდის უნარ-ჩვევები;
- ✓ მარკეტინგი და გაყიდვები;
- ✓ აგროტურისტული ობიექტების მართვა და ოპერირება;
- ✓ საბაზისო ინგლისური ენის კურსები;
- ✓ ღვინის გიდის ტრენინგი;
- ✓ მენეჯერის მართვის უნარ-ჩვევები;
- ✓ სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა 14 ტრენინგი საქართველოს მასშტაბით 8 ზემოაღნიშნულ 8 სხვადასხვა თემატიკაზე და გადამზადდა **1 318** ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანი.

გამომდინარე იქედან, რომ ტრენინგები ხორციელდება კერძო სექტორის საჭიროებიდან და მოთხოვნის შესაბამისად, 2017 წელს განხორციელდა უფრო მეტი ტრენინგი, ვიდრე დაგეგმილი იყო. შედეგად, დატრენინგებულ პირთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ბიუჯეტის გაზრდაც და 300,000.0 ლარი შეადგინა, ნაცვლად 240,000.0 ლარისა.

აქტივობა 1.3.6: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მინიმუმ 700 გადამზადებული კერძო სექტორის წარმომადგენელი ქვეყნის მასშტაბით	**შესრულებული:** გადამზადებულია 1318 კერძო სექტორის წარმომადგენელი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>240,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>300,000.0</u> ლარი
<u>**შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

პრიორიტეტული მიმართულება 2: სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე

პრიორიტეტული მიმართულება სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე აერთიანებს 3 ამოცანას და ჯამში 26 აქტივობას. ამოცანები ძირითადად მოიცავს სოფლად მოსახლეობის შესაძლებლობების ზრდის, პროფესიული განათლების, ინოვაციების განვითარების, ძირითადი ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარების მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ამოცანა 2.1. უნარები და დასაქმება. ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მეწარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის)

2.1 ამოცანის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში 11 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების და მისი პოპულარიზაციის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდის, დასაქმების და თვითდასაქმების შესაძლებლობების ზრდის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობის მომზადება/გადამზადებით კვალიფიკაციის ზრდის მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად

- **⇒ კვალიფიკაცია აუმაღლდა და გადამზადდა 3014 ადამიანი**
- **⇒ პროფესიულ განათლებაში ჩაერთო 8793 ადამიანი**

2.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 21,087,960.0 ლარი გადაჭარბებით არის შესრულებული. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, აქტივობების განხორციელებისთვის გახარჯულია 24,923,400.8ლარი

- **აქტივობა 2.1.1:** სოფლად ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზოგადი და სპეციალიზირებული ტრენინგის კურსების ჩატარება ინოვაციების ცენტრების ბაზაზე

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

პარტნიორი ორგანიზაციები: მსოფლიო ბანკი; კერძო სექტორი; USAID ZRDA; USAID G4G.

აქტივობის მიზანი: მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის და დასაქმების შესაძლებლობების ზრდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ცნობიერების ამაღლებით

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ტრენინგები დაინტერესებული მხარეებისთვის და ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას შორის ლატენტური ინოვატორების გამოვლენის მიზნით.

ტრენინგები ჩატარდა ქვეყნის მასშტაბით უკვე არსებულ ტექნოპარკებსა და ინოვაციების ცენტრებში. ტრენინგების მიზანი ასევე არის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართ ინტერესის ზრდა, სტარტაპ-ეკოსისტემის გაძლიერება და ამ სფეროში კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ტრენინგები ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული სატრენინგო მოდულების საფუძველზე, შრომით ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა უნარების შეძენის მიზნით.

ქვეყნის მასშტაბით ტექნოპარკებსა და ინოვაციების ცენტრების ვიზიტორთა რაოდენობამ, წლის განმავლობაში დაახლოებით 15000 შეადგინა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, დატრენინგებული მოსახლეობის რაოდენობამ 1500 ადამიანი შეადგინა, ხოლო აქტივობისთვის 100,000.0 ლარი გაიხარჯა.

აქტივობა 2.1.1: სოფლად ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზოგადი და სპეციალიზირებული ტრენინგის კურსების ჩატარება ინოვაციების ცენტრების ბაზაზე	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო პარტნიორი ორგანიზაციები: მსოფლიო ბანკი; კერძო სექტორი; USAID ZRDA; USAID G4G.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 1500-მდე დატრენინგებული ბენეფიციარი	**შესრულებული:** დატრენინგდა 1500 ბენეფიციარი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 100,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 100,000.0 ლარი
სრულად შესრულდა	

- **აქტივობა 2.1.2:** ინოვაციების განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

პარტნიორი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი.

აქტივობის მიზანი: ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია მისი შემდგომი გამოყენების მიზნით.

განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდის მანძილზე, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სახის ღონისძიება გაიმართა, რომელთა მიზანი იყო ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

2017 წლის განმავლობაში 10-მდე სხვადასხვა ღონისძიება საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, ვორქშოფების, სამეწარმეო უნარების გაუმჯობესების, მეწარმეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მენეჯმენტის განვითარების, UX/UI დიზაინის და ხარისხის მართვის (QA), ვებ-პროგრამირების, საოფისე პროგრამების შესწავლის, 3D მოდელირების და სხვა მიმართულებებით. ასევე, ჩატარდა ტრენინგების ციკლი, გაიმართა მეიქათონები, შემოქმედებითი იდეების მარათონები და კონკურსები.

ღონისძიებების ფარგლებში ჯუნიორ ინოვაციების ლაბორატორიასთან თანამშრომლობით (რეგიონების ინოვაციების ცენტრების ბაზებზე) 10-16 წლამდე ახალგაზრდებისათვის ჩატარდა კურსები „Lego Mindtsorms EV3“-ის რობოტების გამოყენებით; ასევე, ზუგდიდის ტექნოპარკში განხორციელდა სატრენინგო პროგრამა „როგორ დავიწყო სტარტაპი“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის: „ინოვაციების და ტექნოლოგიების ინდუსტრიის მიმოხილვა“, „სტარტაპის შექმნის პირველი ნაბიჯები“ და სხვა. სატრენინგო პროგრამის დასკვნით ეტაპზე თბილისის ტექნოპარკში გაიმართა 7 ფინალისტი გუნდის იდეების პრეზენტაცია (პროექტში მონაწილეობდა 26 ადამიანი).

ღონისძიებების ჩატარებაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის, „ELVA“-მ, „Skill Up"-მა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, 10 სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდა, მათ შორის, ოლიმპიადების, კონფერენციების და კონკურსების ფორმატებში.

ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურმა რესურსმა 50,000.0 ლარი შეადგინა.

აქტივობა 2.1.2: ინოვაციების განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო პარტნიორი ორგანიზაცია: მსოფლიო ბანკი	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 10-მდე ჩატარებული კონკურსი, ოლიმპიადა, გამოფენა, კონფერენცია	**შესრულებული:** ჩატარდა 10 კონკურსი, ოლიმპიადა, გამოფენა, კონფერენცია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 50,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 50,000.0 ლარი
სრულად შესრულდა	

- **აქტივობა 2.1.3:** პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მუნიციპალიტეტებში და მასში შემავალ სოფლებში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აქტივობის მიზანი: პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წელს აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. 2017 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში პროფესიულ განათლებაში ჩაერთო 11-მდე პირი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგიონებში არსებულ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებოდა 8793 პროფესიული სტუდენტი. ბენეფიციართა ზრდა განპირობებული იყო რეფორმის ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა პროგრესის შედეგად: ახალი ლოკაციები, ცნობიერების ამაღლება, ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ.

პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიზნით:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სს ,,M² უძრავი ქონება“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაფუძნდა (ა)აიპ სამშენებლო კოლეჯი "კონსტრუქტ2" და დაიწყო კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები. რეგიონის მაცხოვრებლებს საშუალება ექნებათ, სრულიად უფასოდ, ისწავლონ სამშენებლო მიმართულების დუალურ პროგრამებზე და/ან გაიარონ მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსები შემდგომი დასაქმების მიზნით. კოლეჯში ასევე ხელმისაწვდომი იქნება საერთო საცხოვრებელიც;

- ✓ კერძო სამშენებლო კომპანიასთან პარტნიორობით, ქ. ქობულეთში არსებულმა სახელმწიფო კოლეჯმა გააფართოვა არეალი და პროგრამების განხორციელება დაიწყო ქ. ბათუმში არსებულ სასწავლო ცენტრში, რომლის რეაბილიტაციაც სრულად უზრუნველყო კერძო სექტორმა. ახალ ფილიალში ხელმისაწვდომია ტურიზმისა, მშენებლობისა და სხვა მომსახურების სფეროს პროგრამები და მოკლევადიანი კურსები;
- ✓ განხორციელდა 4 ახალი ლოკაციის (არსებული კოლეჯების ფილიალები) რეაბილიტაცია ხობში, თიანეთში, სტეფანწმინდასა და ლაგოდეხში. 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე სტუდენტები ჩაირიცხნენ თიანეთის, სტეფანწმინდისა და ლაგოდეხის ფილიალებში.
- ✓ დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები კასპის, ხულოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების მიზნით. 2018 წლის მიღების ფარგლებში ჩაერთვება ხობის ფილიალიც.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.3 ინდიკატორად განსაზღვრული იყო რეგიონებში პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა (სტუდენტთა) რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (7580) გაზრდა 5%-ით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგიონებში პროფესიულ განათლებაში ჩართულია (გარდა თბილისისა) 8793 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 16%-ით. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 11,115,000.0 ლარი, რომელიც მეტწილად შესრულდა და 10,172,064.0 ლარი შეადგინა. ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულებები არის განსხვავებული, ბიუჯეტის პროგნოზირებისას აღებული იყო საშუალოზე მაღალი ღირებულების პროგრამები, რამაც გამოიწვია საპროგნოზო და რეალურ თანხას შორის სხვაობა.

აქტივობა 2.1.3: პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მუნიციპალიტეტებში და მასში შემავალ სოფლებში	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: რეგიონებში პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა (სტუდენტთა) რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით (7580) გაზრდა 5%-ით	**შესრულებული:** რეგიონებში პროფესიულ განათლებაში ჩართულია 8793 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ განათლებაში ჩართულ პირთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 16%-ით.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>11,115,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** 10,172,064 ლარი

<u>ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით</u> <u>ბიუჯეტი მეტწილად შესრულდა</u>

- **აქტივობა 2.1.4:** საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების განხორციელება რეგიონების სკოლის მოსწავლეებისათვის

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

<u>აქტივობის მიზანი:</u> სკოლის მოსწავლეების პროფესიული განვითარება

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების პილოტირება. პილოტირების დაწყებას წინ უსწრებდა მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ: განხორციელდა მოდულების ადაპტირება სხვადასხვა მიმართულებით, ადაპტირდა 20-მდე მოდული. გადამზადდნენ სკოლის და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მომზადდა პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. პილოტირების პროცესში ჩაერთო 4 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაც 8 საჯარო სკოლასთან პარტნიორობით განახორციელეს საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები. საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირების პროცესში ჩაერთო სამოცდაათზე მეტი მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლე. განხორციელდა პილოტირების მონიტორინგი და მომზადდა შედეგების ანგარიში.

პილოტირების გამოცდილების გათვალისწინებით, 2017 წლის მესამე კვარტალიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო "სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის" განხორციელება. საქართველოს მასშტაბით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საჯარო სკოლების პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები (საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების ანალოგიური). პროგრამაში ჩაერთო რეგიონებში მდებარე 109 სკოლის 2000-ზე მეტი მოსწავლე.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.4 ინდიკატორად განსაზღვრული იყო რეგიონებში სკოლის მოსწავლეებისათვის საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები შეთავაზება მინიმუმ 5 სკოლაში (საბაზო ინდიკატორი -0). გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 4 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებამ 8 საჯარო სკოლასთან პარტნიორობით წარმატებით განახორციელა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირება. პილოტირების შემდეგ/შედეგად,

განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამა“. შრომითი უნარების კურსები განხორციელდა რეგიონებში არსებულ 109 სკოლაში.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 224,300.0 ლარი. შესრულების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სამოქმედო გეგმაში საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავდა მხოლოდ დონორის პროექტის ბიუჯეტს (UNDP), ვინაიდან პილოტირების შედეგების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო სახელმწიფო პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელება, შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს დონორის ბიუჯეტის შესრულებაზე კონკრეტული ინფორმაცია.

აქტივობა 2.1.4: შიდა ტურიზმის წახალისება	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: რეგიონებში სკოლის მოსწავლეებისათვის საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები შეთავაზება მინიმუმ 5 სკოლაში (საბაზო ინდიკატორი -0)	**შესრულებული:** საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა 4 სახელ-მწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებამ 8 საჯარო სკოლასთან პარტნიორობით წარმატებით განახორციელა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირება. პილოტირების შემდეგ/შედეგად, პროგრამაში ჩაერთო რეგიონებში მდებარე 109 სკოლის 2000-ზე მეტი მოსწავლე
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>224,300.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>1,169,727.0</u>
<u>**ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით**</u> <u>**ბიუჯეტის შესრულებაზე ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯვის შესახებ**</u>	

- **აქტივობა 2.1.5:** პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოდულური პროგრამების (დუალური მიდგომით) განხორციელების ინიცირება/დანერგვა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

<u>აქტივობის მიზანი:</u> პროფესიული განათლების გაუმჯობესება

განხორციელებული ღონისძიებები

მიმდინარეობს დუალური მიდგომით სოფლის მეურნეობის მიმართულებით 4 პროგრამის განხორციელება: მეხილეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეფუტკრეობა შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებში - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "აისი", სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი", სსიპ ილია წინამძღვრიშვილის საზოგადოებრივი კოლეჯი, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სსიპ პროფესიული კოლეჯი "ერქვანი". დუალური პროგრამები ასევე დანერგილია ტურიზმის მიმართულებით - კულინარიის ხელოვნება, სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება.

პროგრამების დანერგვამდე განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტების ფარგლებში შემუშავდა დუალური პროგრამები, განხორციელდა შესაბამისი ადამიანური რესურსის, მათ შორის დამსაქმებლების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები. დანერგვის პროცესში, მიმდინარეობდა ინდივიდუალური კონსულტაციები როგორც კოლეჯის ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან, ასევე დუალური პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დამსაქმებლებთან. მომზადდა საწარმოს ინსტრუქტორების 6 დღიანი ტრენინგ-პროგრამა, რომელიც გაიარა პილოტირების პროცესში ჩართულმა ყველა ინსტრუქტორმა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.5 ინდიკატორად განსაზღვრული იყო დუალური მიდგომით განხორციელებული 3 პროგრამა სოფლის მეურნეობის მიმართულებით (საბაზო ინდიკატორი - 0). შედეგად, სოფლის მეურნეობის მიმართულებით დანერგილია 4 დუალური პროგრამა, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 1,494,900.0 ლარი. შესრულების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ვინაიდან საპროგნოზო ბიუჯეტი იყო დონორების პროექტების ფარგლებში (GIZ და UNDP), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს ბიუჯეტის შესრულებაზე კონკრეტული ინფორმაცია.

აქტივობა 2.1.5: პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოდულური პროგრამების (დუალური მიდგომით) განხორციელების ინიცირება/დანერგვა
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)
შესრულების ინდიკატორები

დაგეგმილი: დუალური მიდგომით განხორციელებული 3 პროგრამა სოფლის მეურნეობის მიმართულებით (საბაზო ინდიკატორი - 0)	**შესრულებული:** სოფლის მეურნეობის მიმართულებით დანერგილია 4 დუალური პროგრამა, რომელთა განხორციელება მიმდინარეობს
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 224,300.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 33,000.0
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **ბიუჯეტის შესრულებაზე ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ საბიუჯეტო ხარჯვის შესახებ**	

- **აქტივობა 2.1.6:** სოფლად განსახლების მსურველ დევნილების ისეთ ადგილებში განსახლება, სადაც საცხოვრებელთან ერთად ხელმისაწვდომია მიწა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

აქტივობის მიზანი: დევნილების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა და მათი საარსებო წყაროების გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო 2014 წლიდან ახორციელებს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთ პროგრამას ,,სოფლად სახლს". აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვანია, რადგან დევნილები თავად არიან ჩართულები საცხოვრებელი სახლის მოძიების პროცესში, რომელის შეძენაშიც მათ სამინისტრო ეხმარება. ამგვარად, დევნილებს გრძელვადიან საცხოვრებელ სახლთან ერთად საშუალება ეძლევათ ჰქონდეთ წვდომა მიწაზე, რისი დამუშავების შემთხვევაში მათ უჩნდებათ საარსებო წყარო, შემოსავლები და სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის საშუალება. იძულებით გადაადგილების შედეგად, ბევრ ისეთ დევნილ ოჯახს მოუწია ქალაქში დასახლება, რომლებიც მანამდე სოფლად ცხოვრობდნენ, შესაბამისად მათ აქვთ სასოფლო სამეურნეო აქტივობებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და გამოცდილება, აქედან გამომდინარე მათ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო აქტივობების განხორციელება.

პროგრამა მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- კონკურსის ფარგლებში განაცხადების შემოტანა დევნილების მიერ;
- სამინისტროს მიერ განაცხადების შეფასება, მონიტორინგი;
- შესაბამისი კომისიის მიერ განაცხადების განხილვა;
- დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დევნილის მიერ სახლის შერჩევა;
- ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სახლის მდგრადობისა და ღირებულების შეფასება;
- საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.6 ინდიკატორად განსაზღვრული იყო 400 დევნილი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემა, ისეთ ადგილებში, სადაც საცხოვრებელთან ერთად ხელმისაწვდომია მიწა. 2017 წელს „სოფლად სახლის პროგრამის“ ფარგლებში საცხოვრებელი სახლი მიიღო 612-მა დევნილმა ოჯახმა, მათ შორის 189 დევნილმა მიწის ნაკვეთთან ერთად. 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გაიწერა აღნიშნული პროგრამის შესრულების სრული ინდიკატორი (400 დევნილი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის გადაცემა), თუმცა ეს არ იყო მხოლოდ მიწასთან ერთად საცხოვრებელი სახლის შეძენის მაჩვენებელი. შესაბამისად, 2017 წლის დაგეგმილი აღნიშნული ინდიკატორი სრულად არის შესრულებული. აქტივობის შესრულების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული პროგრამის პრინციპიც, დევნილი თავად არის ჩართული საცხოვრებელი სახლის მოძიების პროცესში და მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზე და სურვილზეა დამოკიდებული საცხოვრებელი სახლის მათთვის გადაცემა. სამინისტროს მიერ სოფლად, მიწის ნაკვეთთან ერთად საცხოვრებლის გადაცემის ნებისა და მზაობის მიუხედავად შესაძლოა დევნილი არ დათანხმდეს შემოთავაზებას. შესაბამისად რთულია წინასწარ სოფლად, მიწასთან ერთად გადასაცემი საცხოვრებელი სახლების ზუსტი ინდიკატორის გაწერა. 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ინდიკატორი შემუშავებულია წინა წლების გამოცდილებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 8,000,000.0 ლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა: 12,559,802.0 ლარი, რადგან ნაცვლად დაგეგმილი 400 ბენეფიციარისა, ჯამში პროგრამით 2017 წელს ისარგებლა 611-მა ბენეფიციარმა.

აქტივობა 2.1.6: სოფლად განსახლების მსურველ დევნილების ისეთ ადგილებში განსახლება, სადაც საცხოვრებელთან ერთად ხელმისაწვდომია მიწა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 400 დევნილი ოჯახებისთვის გადაცემულია საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად	**შესრულებული:** საცხოვრებელი სახლი მიიღო 611-მა დევნილმა ოჯახმა, მათ შორის 189 დევნილმა მიწის ნაკვეთთან ერთად
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>8,000,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>12,559,802.0</u> ლარი
<u>**შესრულებულია ნაწილობრივ**</u>	

- **აქტივობა 2.1.7:** სამომავლოდ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქართული ენის კურსების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების საზოგადოებრივ ცენტრებში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

პარტნიორი ორგანიზაცია: იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი

აქტივობის მიზანი: სოფლის მოსახლეობის დასაქმების და თვითდასაქმების ხელშეწყობა.

განხორციელებული ღონისძიებები

განხორციელდა ქართული ენის კურსის მიწოდება სოფლის მოსახლეობისთვის. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სოფლის 76-მა მოსახლემ, მათ შორის 59-მა წარმატებით დაასრულა აღნიშნული კურსი.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.7 ინდიკატორად განსაზღვრული იყო მინიმუმ 30 სოფლის მოსახლის მიერ ქართული ენის კურსის წარმატებით გავლა. შედეგად სულ 59-მა სოფლის მოსახლემ წარმატებით გაიარა ქართული ენის კურსი. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 7,760 .0 ლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა: 9,665.0 ლარი.

აქტივობა 2.1.7: სამომავლოდ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქართული ენის კურსების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების საზოგადოებრივ ცენტრებში	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო პარტნიორი ორგანიზაცია: იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მინიმუმ 30 სოფლის მოსახლის მიერ ქართული ენის კურსის წარმატებით გავლა.	**შესრულებული:** 59-მა სოფლის მოსახლემ წარმატებით გაიარა ქართული ენის კურსი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 7,760.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 9,665.0 ლარი
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**	

- **აქტივობა 2.1.8:** სოფლის მოსახლეობის დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების ამაღლება სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაციები: სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლის მოსახლეობის დასაქმების და თვითდასაქმების ხელშეწობა.

განხორციელებული ღონისძიებები

რეგიონებში/მუნიციპალურ ერთეულებში გაიცა - 1116 ვაუჩერი, მომსახურება გასწია - 15 საგანმანათლებლო დაწესებულებამ. პროგრამა განხორციელდა საქართველოს 12 მუნიციპალურ ერთეულში, კერძოდ: ქობულეთში, ოზურგეთში, ფოთში, წალენჯიხაში, მესტიაში, ზესტაფონში, ახალციხეში, მარნეულში, გორში, საგარეჯოში, გურჯაანსა და თელავში. გადამზადების მსურველი სამუშაოს მაძიებელთა აღნიშნული რაოდენობა გამოწვეული იყო მონაწილე პროფესიული სასწავლებლების რაოდენობით, სამუშაოს მაძიებლების აქტიურობით და აგრეთვე იმითაც, რომ 2017 წლის პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.8 ინდიკატორად განსაზღვრული იყო საქართველოს რეგიონებში არანაკლებ 300 სამუშაოს მაძიებელის გადამზადება. შედეგად სულ გადამზადდა 1070 პირი. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 30,000.0 ლარი, რომელიც გადაჭარბებით შესრულდა (739,542.78 ლარი), რადგან გაიზარდა გადამზადების მსურველი სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა.

აქტივობა 2.1.8: სოფლის მოსახლეობის დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების ამაღლება სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებით	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: საქართველოს რეგიონებში გადამზადებული არანაკლებ 300 სამუშაოს მაძიებელი	**შესრულებული:** საქართველოს რეგიონებში გადამზადებულია 1070 სამუშაოს მაძიებელი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>30,000</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>739,542.78</u> ლარი
<u>**ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით**</u> <u>**ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 2.1.9:** სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით მუნიციპალიტეტის დონეზე

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით.

განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს 6 რეგიონში, 2017 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების მიერ, (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, იმერეთი, აჭარა) კონსულტირება ჯამში გაეწია 447 ბენეფიციარს. გაიზარდა ცნობადობა პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის შესახებ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.9 ინდიკატორად განსაზღვრული იყო საქართველოს ოთხ რეგიონში არანაკლებ 40 სამუშაო მაძიებელისთვის პროფკონსულტირება და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. შედეგად, 447 ბენეფიციარმა მიიღო პროფკონსულტირების და კარიერის დაგეგმვის მომსახურება 6 რეგიონში მუნიციპალურ დონეზე. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 48,000 ლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა და 72,000.0 ლარი შეადგინა, რადგან გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა, დაგეგმილთან შედარებით.

აქტივობა 2.1.9: სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით მუნიციპალიტეტის დონეზე	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 4 რეგიონში არანაკლებ 40 სამუშაო მაძიებელისთვის პროფკონსულტირება და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა	**შესრულებული:** პროფკონსულტირების და კარიერის დაგეგმვის მომსახურება 6 რეგიონში 447 ბენეფიციარმა მიიღო
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>48,000</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>72,000</u> ლარი
<u>**ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით**</u> <u>**ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 2.1.10:** მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარებით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაცია: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო

აქტივობის მიზანი: მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების ხელშეწყობა.

განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს მასშტაბით, კონსულტანტების მიერ ჩატარდა 70-მდე საინფორმაციო და სამუშაო სახის შეხვედრა დამსაქმებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 15 დამსაქმებელი. გაიზარდა ცნობადობა და აქტიურობა, როგორც დამსაქმებლების, ასევე მაძიებლების მხრიდან.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.10 ინდიკატორად განსაზღვრული იყო მოწყვლადი დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობისათვის ხელფასების სუბსიდირების შემუშავება და არანაკლებ 10 შშმ და სსსმ პირსისთვის სათანადო მომსახურების გაწევა. მიღწეული შედეგით, შემუშავდა სუბსიდირება და 6 რეგიონის სამხარეო ცენტრებში, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 24 შშმ/სსსმ პირი. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 3,000.0 ლარი, რომელიც გადაჭარბებით შესრულდა და 17,600.0 ლარი შეადგინა, რადგან გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა, დაგეგმილთან შედარებით.

აქტივობა 2.1.10: მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის განვითარებით	
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პარტნიორი ორგანიზაცია: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მოწყვლადი დაბალ-კონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობისათვის ხელფასების სუბსიდი-რების შემუშავება და არანაკლებ 10 შშმ და სსსმ პირსისთვის სათანადო მომსახურების გაწევა	**შესრულებული:** შემუშავდა ხელფასის სუბსიდირება და რეგიონებში სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 24 შშმ/სსსმ პირი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 3,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 17,600.0 ლარი
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**	

- **აქტივობა 2.1.11:** სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დასაქმების ფორუმების ორგანიზება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პარტნიორი ორგანიზაციები: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში, რეგიონებში ჩატარებულია 5 დასაქმების ფორუმი დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამონაწილეობით. თითოეულ ფორუმში საშუალოდ მონაწილეობას იღებდა 500-550 მდე სამუშაოს მაძიებელი. კომპანია GPI-სთან ერთად ჩატარდა დასაქმების ფორუმები რეგიონებში (ზუგდიდი, ფოთი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 900-მდე სამუშაოს მაძიებელმა. ასევე, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა, ფორუმის ორგანიზების ფორმატში მხარდაჭერა გაუწია ქ. რუსთავში კომპანია GWP-ს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმს, სადაც მონაწილეობა მიიღო 500-მდე სამუშაოს მაძიებელმა.

ამასთან, ჩატარდა შშმ პირთა დასაქმების ფორუმი თელავში. თელავში ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 55-მდე შშმ სამუშაოს მაძიებელმა. ჩატარებული ფორუმების რაოდენობამ და პარტნიორი ორგანიზაციების აქტიურობამ გამოიწვია ფორუმში მონაწილე სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობისა და დასაქმებულთა მაჩვენებლის ზრდა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.1.11 ინდიკატორად განსაზღვრული იყო ყოველწლიურად მინიმუმ ერთი ფორუმის ჩატარება და ფორუმში მონაწილე რაოდენობა - არანაკლებ 150 სამუშაოს მაძიებელი საქართველოს რეგიონებში. შედეგად, რეგიონებში ჩატარდა 5 დასაქმების ფორუმი და თითოეულ ფორუმში საშუალოდ მონაწილეობას იღებდა 500-550 მდე სამუშაოს მაძიებელი. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 15,000.0 ლარი, რომელიც სახელმწიფოს მიერ არ გახარჯულა. რეგიონებში ჩატარებული ფორუმების სრულ დაფინანსებას უზრუნველყოფდნენ პარტნიორი ორგანიზაციები, ამიტომ, სააგენტოს მიერ ფინანსური დანახარჯი არ გაწეულა.

აქტივობა 2.1.11: სოფლის მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დასაქმების ფორუმების ორგანიზება
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პარტნიორი ორგანიზაცია: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო
შესრულების ინდიკატორები

დაგეგმილი: მინიმუმ 1 ფორუმის ჩატარება, ფორუმში მონაწილე რაოდენობა: არანაკლებ 150 სამუშაოს მაძიებელი საქართველოს რეგიონებში	**შესრულებული:** ჩატარებულია 5 დასაქმების ფორუმი და თითოეულ ფორუმში საშუალოდ მონაწილეობას იღებდა 500-550 მდე სამუშაოს მაძიებელი.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 15,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 0 ლარი
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **დაფინანსდა დონორის მიერ**	

ამოცანა 2.2. ინფრასტრუქტურა და მომსახურებები. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობების ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

2.2 ამოცანის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჯამში 13 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სოფლად ძირითადი და სოციალური, ასევე ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების, მიმართულებით. ასევე, სხვადასხვა საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით.

ამოცანის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ბიუჯეტი სულ 190,510,105.0 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად

- ⇒ **სოფლად ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებდა 4 შესაბამისად აღჭურვილი ინოვაციების ცენტრი**
- ⇒ **სოფლად უზრუნველყოფილი იყო 24-საათიანი სასწრაფო გადაუდებელი დახმარება**
- ⇒ **აშენდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 620 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზას, 20კმ სიგრძის სანიაღვრე და 241 კმ სიგრძის წყალმომარაგების სისტემებს**
- ⇒ **აშენდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 142 სოციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობას, გაუმჯობესდა საჯარო და მუნიციპალური სერვისები**

2.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 190,510,105.0 ლარი და 9,000.0$ გადაჭარბებით არის შესრულებული. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, აქტივობების განხორციელებისთვის გახარჯულია 374,299,301.1 ლარი და 10,677.0 აშშ დოლარი

- **აქტივობა 2.2.1:** ინოვაციების განვითარების მიზნით, საქართველოს მასშტაბით ინოვაციების ცენტრების შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: მსოფლიო ბანკი

<u>აქტივობის მიზანი:</u> ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის - ინოვაციების ცენტრების განვითარებით.

განხორციელებული ღონისძიებები

ინოვაციების ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სოფლად, პატარა და ასევე დიდ ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ინოვაციურ აქტივობებში ჩართვის წახალისება. ინოვაციების ცენტრები აღჭურვილია სხვადასხვა საჭირო მოწყობილობით, რაც საჭიროა ამ სფეროში როგორც ცოდნის დაუფლების და უნარ-ჩვევების შეძენის, ასევე მისი გამოყენების თვალსაზრისით. ცენტრებში მსურველებს, მათ შორის start-up-ებს შესაძლებლობა ეძლევათ შექმნან პროტოტიპები და განავითარონ იდეები.

ინოვაციური ცენტრების შექმნის მიზნით, 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები 12 მუნიციპალიტეტთან შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, აქედან გამომდინარე, არსებობს სპეციალური მოთხოვნები იმ შენობების ტექნიკური თუ სხვა მახასიათებლების მიმართ, სადაც ინოვაციური ცენტრები განთავსდება.

2017 წლის განმავლობაში ნავარაუდევი იყო 10 ინოვაციური ცენტრის გახსნა რეგიონებში. განხორციელდა ვიზიტები იდენტიფიცირებულ ადგილებზე და ჩატარდა არსებული ინფრასტრუქტურის მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის კვლევა. რიგმა შენობებმა რომელბშიც ნავარაუდევი იყო იყო ინოვაციების ცენტრების გახსნა, ვერ დააკმაყოფილა მსოფლიო ბანკის მოთხოვნები[4].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის განმავლობაში 4 ინოვაციური ცენტრი ფუნქციონირებდა სამეგრელოს, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში - ზუგდიდში, ბაღდადში, ჭოპორტსა და ხარაგაულში.

ამ ეტაპზე, გრძელდება მოლაპარაკებები მუნიციპალიტეტებთან. შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოძიებისა და შეფასების აქტივობა განხორციელდა 12 მუნიციპალიტეტში.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში აღჭურვილი 4 ინოვაციების ცენტრი ფუნქციონირებდა რეგიონების მასშტაბით.

---

[4] *შენიშვნა: სივრცითი და მდგრადობის მაჩვენებლები*

აქტივობის შესრულების მიზნით, ნაცვლად საპროგნოზო 1,200,000.0 ლარისა, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, დაიხარჯა 131,220.0.

აქტივობა 2.2.1: ინოვაციების განვითარების მიზნით, საქართველოს მასშტაბით ინოვაციების ცენტრების შექმნა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: მსოფლიო ბანკი	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შექნილი, აღჭურვილი და ოპერირებადი 10 ინოვაციების ცენტრი დაბებსა და სოფლებში	**შესრულებული:** აღჭურვილია და ფუნქციონირებს 4 ინოვაციების ცენტრი სოფლებსა და დაბებში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>1,200,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>131,220.0</u> ლარი
<u>**ინდიკატორის და ბიუჯეტი ნაწილობრივ შესრულდა**</u>	

- **აქტივობა 2.2.2.** სოფლის მოსახლეობის მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა, მათ შორის, ა) სოფლის ექიმის მომსახურების გაუმჯობესებით (სამიზნე: 2017 წლისთვის - ერთ სულ სოფლის მოსახლეზე ვიზიტების რაოდენობა 2.0, 2015 წლის მაჩვენებელი: 1.7) ბ) სოფლად სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო სერვისის მიმწოდების გაუმჯობესება.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი (რეგიონული).

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა.

განხორციელებული ღონისძიებები

ბ) კომპონენტის ფარგლებში, სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ შეუფერხებლად მიმდინარეობდა გამოძახებების შესრულება ქვეყნის მასშტაბით ყველა სოფელში 24 საათის განმავლობაში (87 ლოკაციიდან). წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო მომსახურება გაეწია 738 510 პაციენტს. ამასთან, სოფლის მოსახლეობისათვის მიწოდებული სამედიცინო სერვისის ხარისხის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სასწრაფოს ბრიგადების გადამზადება, სხვადასხვა მოდულის მიხედვით, კერძოდ გადამზადდა: 238 ექიმი (კურსი „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექიმებისთვის); 652 ექთანი („გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექთნებისთვის“); 542 მძღოლი ("პირველადი სამედიცინო

დახმარება"), 263 ექიმი ("ტრავმულ პაციენტთა სტაბილიზაცია და ტრანსპორტირება").

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.2.2 ინდიკატორად განსაზღვრული იყო: ა) ერთ ბენეფიციარზე ვიზიტების რაოდენობის ზრდა 1.7-დან 2.0-მდე; და ბ) სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო სერვისი ხელმისაწვდომია ქვეყნის მასშტაბით ყველა სოფელში 24 საათის განმავლობაში (87 ლოკაციიდან).

- ✓ ა) ინდიკატორის შესრულების თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის ივნისში (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვრის N01-2/ნ ბრძანება "სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ.
- ✓ ბ) ინდიკატორის ფარგლებში, 2017 წელს 206 სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ შეუფერხებლად მიმდინარეობდა გამოძახებების შესრულება ქვეყნის მასშტაბით ყველა სოფელში 24 საათის განმავლობაში (87 ლოკაციიდან). წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო მომსახურება გაეწია 738 510 პაციენტს.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო ა) კომპონენტში: 26,000,000.0 ლარი და ბ) კომპონენტში: 27,266,000.0 რომელიც ფაქტობრივად ნაწილობრივ შესრულდა (ა) კომპონენტში: 25,041,227.0 ლარი და ბ) კომპონენტში 30,866,230.0 ლარი. ბ) საწყისი ბიუჯეტი 22,751,000.0 ლარი გაიზარდა 31,645,400.0 ლარამდე, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რეორგანიზაციისა და სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრად ჩამოყალიბების გამო.

აქტივობა 2.2.2. სოფლის მოსახლეობის მაღალი ხარისხის პირველადი ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა, მათ შორის, ა)სოფლის ექიმის მომსახურების გაუმჯობესებით	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი (რეგიონული).	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	**შესრულებული:**
ა) ერთ ბენეფიციარზე ვიზიტების რაოდენობის ზრდა 1.7-დან 2.0-მდე; ბ) სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო სერვისი ხელმისაწვდომია ქვეყნის მასშტაბით ყველა სოფელში 24 საათის განმავლობაში (87 ლოკაციიდან)	ა) ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის ივნისში ბ) სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო სერვისი ხელმისაწვდომია ქვეყნის მასშტაბით ყველა სოფელში 24 საათის განმავლობაში (87 ლოკაციიდან); სასწრაფო სამედიცინო მომსა-ხურება გაეწია 738 510 პაციენტს.

ბიუჯეტი	
საპროგნოზო: ა) კომპონენტში: 26,000,000.0 ლარი და ბ) კომპონენტში: 27,266,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:.** (ა) კომპონენტში: 25,041,227.0 ლარი და ბ) კომპონენტში 30,866,230.0 ლარი (საწყისი ბიუჯეტი გაიზარდა 31,645,400.0 ლარამდე).
<u>ა) ინდიკატორის შესრულების შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არის</u> <u>ბ) ინდიკატორი შესრულდა</u> <u>ბიუჯეტი ნაწილობრივ შესრულდა</u>	

- **აქტივობა 2.2.3:** სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> მუნიციპალიტეტები.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და გადაადგილების გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

აღნიშნული აქტივობა ხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დაფინანსების ფარგლებში[5]. პროექტები, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ფონდიდან) შერჩეულია მუნიციპალიტეტების (მუნიციპალური პროექტების შემთხვევაში) და გუბერნატორის მიერ (რეგიონული პროექტების შემთხვევაში), ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების ჩატარებით.

პროექტის დაფინანსება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ პირობებს და კრიტერიუმებს. პროექტებს განიხილავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრატრუქტურის სამინისტრო და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განსახილველად წარუდგენს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას (შემდგომში კომისია). კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ, პროექტები, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

დაფინანსებასთან დაკავშირებით მთავრობის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროექტები ხორციელდება მუნიციპალიტეტების მიერ.

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტები საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. კომისიის დადებითი რეკომენდაციის და

[5] *მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს მთავრობის დადგენილებები: N44; 29.01.2018; N23; 07.02.2013*

შემდგომ, მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებულია 260 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, გზის საფარი დაიგო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მთლიანობაში 620 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებს.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით გახარჯულმა ბიუჯეტმა 133,000,000.0 ლარი შეადგინა 50,000,000.0 ლარის ნაცვლად.

აქტივობა 2.2.3: სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	
პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 250 კმ-მდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე - დაგებულია ან რეაბილიტირებულია გზის საფარი	**შესრულებული:** გზის საფარი დაგებულია / რეაბილიტირებულია 620 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 50,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 133,000,000.0 ლარი
შესრულებულია გადაჭარბებით	

- **აქტივობა 2.2.4:** სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა

  პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები.

  პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

  აქტივობის მიზანი: სოფლად სკოლემდელი აღზრდის ხელშეწყობა საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციით.

განხორციელებული ღონისძიებები

აღნიშნული აქტივობა ხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დაფინანსების ფარგლებში (დეტალები იხ, აქტივობა 2.2.3-ში).

2017 წლის განმავლობაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტების მიერ საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის შესახებ საპროექტო წინადადებების განხილვასთან დაკავშირებით. კომისიის დადებითი

დასკვნის და მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა, დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელეს საბაშვო ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სულ 83 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია განხორციელდა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, აშენებულ/რეაბილიტირებული იქნა 83 საბავშვო ბაღი, ნაცვლად 70-ისა.

საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე გახარჯულმა თანხამ 9,800,000.0 ლარი შეადგინა, ნაცვლად 10,000,000.0 ლარისა.

შენიშვნა: ფაქტიური შესრულება არ დასრულებულა 5.800.000 ლარის ღირებულების 20 პროექტთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდის ფარგლებში აქტივობის სრულად არ შესრულება ძირითადად დამოკიდებულია პროექტირებისა და სატენდერო პროცედურების ხანგრძლივობასთან.

აქტივობა 2.2.4: სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> მუნიციპალიტეტები <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 70-მდე აშენებული/რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი	**შესრულებული:** აშენებულ-რეაბილიტირებულია 83 საბავშვო ბაღი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>10,000,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>9,800,000.0</u> ლარი
<u>დიდწილად შესრულდა</u>	

- **აქტივობა 2.2.5:** სოფლად სპორტის და კულტურის განვითარების ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> მუნიციპალიტეტები.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი სოცუალური ინფრასტრუქტურის განვითარებით.

განხორციელებული ღონისძიებები

აღნიშნული აქტივობა ხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დაფინანსების ფარგლებში (დეტალები იხ, აქტივობა 2.2.3-ში).

2017 წლის განმავლობაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა შესაბამისი სამუშაოები მუნიციპალიტეტების მიერ სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციის შესახებ საპროექტო წინადადებების განხილვასთან დაკავშირებით. კომისიის დადებითი დასკვნის და მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა, დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელეს სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სულ 59 სპორტული და კულტურის ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაცია განხორციელდა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში ნაცვლად 25-ისა, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 59 სპორტული და კულტურის ობიექტს. აღნიშნული საქმიანობებისთვის, ნაცვლად განსაზღვრული 5,000,000.0 ლარისა გაიხარჯა 8,300,000.0 ლარი

აქტივობა 2.2.5: სოფლად სპორტის და კულტურის განვითარების ხელშეწყობა	
პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 25-მდე აშენებული/რეაბილიტირებული სპორ-ტული და კულტურული ობიექტი	**შესრულებული:** რეაბილიტირებულ-აშენებულია 59 სპორ-ტული და კულტურული ობიექტი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 5,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 8,300,000.0 ლარი
შესრულდა გადაჭარბებით	

- **აქტივობა 2.2.6:** სოფლად წყალმოვარდნების, წყალდიდობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების პრევენცია და ლიკვიდაცია

  პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები.

  პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

  აქტივობის მიზანი: სოფლად სტიქიური მოვლენების უარყოფითი შედეგების პრევენცია სანიაღვრე არხების ფუნქციონირების გაუმჯობესებით.

განხორციელებული ღონისძიებები

აღნიშნული აქტივობა ხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დაფინანსების ფარგლებში (დეტალები იხ, აქტივობა 2.2.3-ში).

2017 წლის განმავლობაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განახორციელა შესაბამისი სამუშაოები მუნიციპალიტეტების მიერ სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციის შესახებ საპროექტო წინადადებების განხილვასთან დაკავშირებით. კომისიის დადებითი დასკვნის და მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა, დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელეს შესაბამისი სამუშაოები სანიაღვრე არხების მოწყობისა და რეაბილიტაციისთვის. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სულ 20 კმ საერთო სიგრძის სანიაღვრე არხია რეაბილიტირებული და მოწყობილი.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, მოწყობილი და რეაბილიტირებულია სანიაღვრე არხები, საერთო სიგრძით 20კმ.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისთვის დახარჯულია 2,700,000.0 ლარი, ნაცვლად 2,000,000.0 ლარისა

აქტივობა 2.2.6: სოფლად წყალმოვარდნების, წყალდიდობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების პრევენცია და ლიკვიდაცია	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> მუნიციპალიტეტები <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 20 კმ-მდე მოწყობილი/რეაბილიტირებული სანიაღვრე არხი	**შესრულებული:** მოწყობილი/რეაბილიტირებულია 20 კმ სანიაღვრე არხი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>2,000,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>2,700,000.0</u> ლარი
<u>**ინდიკატორი შესრულებულია**</u> <u>**ბიუჯეტი შესრულებულია გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 2.2.7:** სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> მუნიციპალიტეტები.

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლად წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, წყალმომარაგების სისტემების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია მშენებლობა.

განხორციელებული ღონისძიებები

აღნიშნული აქტივობა ხორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან მუნიციპალური და რეგიონული პროექტების დაფინანსების ფარგლებში (დეტალები იხ. აქტივობა 2.2.3-ში).

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა მუნიციპალიტეტებს მიერ შემუშავებული და წარდგენილი პროექტები, განხორციელდა პროექტების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და შერჩეული პროექტები გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას დასკვნისთვის. კომისიის დადებითი დასკვნის და მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტებმა განახორციელეს სოფლად წყალმომარაგების სისტემების და ასევე სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში, სულ აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 241 კმ სიგრძის წყალმოარაგების სისტემას, ნაცვლად 300 კმ-ისა. ასევე, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 გამწმენდ/სათავე ნაგებობას.

შენიშვნა: ფაქტიური შესრულება არ დასრულებულა 4.100.000 ლარის ღირებულების 14 პროექტთან დაკავშირებით - დამატებით 137 კმ წყალმომარაგების ქსელი და 9 სათავე ნაგებობა. საანგარიშო პერიოდის ფარგლებში აქტივობის სრულად არ შესრულება ძირითადად დამოკიდებულია პროექტირებისა და სატენდერო პროცედურების ხანგრძლივობაზე, ასევე სამშენებლო სამუშაოების სირთულეზე და მიწიქვეშა კომუნიკაციების განლაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის არარსებობაზე.

აქტივობა 2.2.7: სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> მუნიციპალიტეტები <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 300 კმ-მდე წყალმომარაგების სისტემის აშენება/რეაბილიტაცია და 20-მდე გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა/რეაბილიტაცია	**შესრულებული:** აშენდა/რეაბილიტაცია ჩაუტარდა 241 კმ წყალმომარაგების სისტემას და 11 სათავე/გამწმენდ ნაგებობას
ბიუჯეტი	

საპროგნოზო: 12,000,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** .10,100,000.0 ლარი
დიდწილად შესრულდა	

- **აქტივობა 2.2.8:** რეგიონების, მათ შორის სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა გაზმომარაგებით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

პარტნიორი ორგანიზაციები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"; შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია".

აქტივობის მიზანი: სოფლად კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობის უზრუნველყოფა ბუნებრივი აირით.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა მოსახლეობის გაზიფიცირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოები როგორც კერძო კომპანიის - შპს სოკარ ჯორჯია გაზის, ასევე სახელმწიფო კომპანიის - საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ.

აღნიშნული სამუშაოებისთვის, სოკარ ჯორჯია გაზის მიერ გახარჯულია 133,4 მლნ ლარი და ბუნებრივი აირზე ხელმისაწვდომობა გაეზარდა 76 000 აბონენტს. სახელმწიფოს, კერძოდ კი - საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ გაზიფიცირების სამუშაოებისთვის 2017 წელს დაიხარჯა 17,246 მილიონი ლარი, რის შედეგადაც ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობა გაეზარდა 11 160 აბონენტს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წელს, ნაცვლად ნავარაუდევი 35 000 აბონენტისა, ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობა გაეზარდა ჯამში 87 160 აბონენტს სოფლად.

გაზიფიცირების სამუშაოებისთვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გაიხარჯა 17,246,000.0 ლარი, ნაცვლად 20,000,000.0 ლარისა. ხოლო კერძო კომპანიის - სოკარ ჯორჯია გაზის მიერ 133,400,000.0 ლარი, ნაცვლად საპროგნოზო 35,310,000.0 ლარისა. მთლიანობაში ბიუჯეტიც და ინდიკატორებით გადაჭარბებით არის შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ გაზიფიცირების სამუშაოები გრძელდება 2018 წელს და 2017 წელს პროგნოზირებული ბიუჯეტის (20 მლნ ლარი) ნაწილის ხარჯვა გრძელდება 2018 წელსაც.

აქტივობა 2.2.8: რეგიონების, მათ შორის სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა გაზმომარაგებით
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო პარტნიორი ორგანიზაციები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"; შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"

შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: -ჩატარებული გაზიფიცირების სამუშაოები; -დამატებული პოტენციური აბონენტების რაოდენობა - 35 000	**შესრულებული:** - ჩატარებულია გაზიფიცირების სამუშაოები შპს სოკარ ჯორჯია გაზის და შპს საქართველოს ტრანსპორტირების კომპანიის მიერ; - დამატებული აბონენტების რაოდენობამ ჯამში 87 160 აბონენტი შეადგინა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: *(სახელმწიფო და კერძო ინვესტიცია)* 20,000,000.0 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი) 35,310,000.0 ლარი (კერძო ინვესტიცია)	**ფაქტობრივი:** 17,246,000.0 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი) 133,400,000.0 ლარი (კერძო ინვესტიცია)
ინდიკატორი შესრულებულია გადაჭარბებით ბიუჯეტი: სახელმწიფო ბიუჯეტი დიდწილად შესრულებულია კერძო ბიუჯეტი შესრულებულია გადაჭარბებით	

- **აქტივობა 2.2.9.** სოფლის მოსახლეობის საჯარო მომსახურებებზე წვდომის გაზრდა დამატებითი საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობით.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

პარტნიორი ორგანიზაციები: მუნიციპალიტეტები; სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო", სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი", სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა", სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო", შპს „მექანიზატორი“, იურიდიული დახმარების სამსახური, ლიბერთი ბანკი, შპს „მაგთიკომი“.

აქტივობის მიზანი: სოფლის მოსახლეობის საჯარო მომსახურებებზე წვდომის გაზრდა

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის მდგომარეობით, სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 51 საზოგადოებრივი ცენტრი. მითითებულ წელს გაიხსნა 7 საზოგადოებრივი ცენტრი შემდეგ დასახლებებში: 1. კოხნარი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), 2. გლდანი (თბილისი), 3. ზეინდარი (ვანის მუნიციპალიტეტი), 4. ბაკურიანი (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), 5. მეორე სვირი (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), 6. ფასანაური (დუშეთის მუნიციპალიტეტი) და 7. ჯგალი (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.2.9 ინდიკატორად განსაზღვრული იყო: დამატებით აშენებული საზოგადოებრივი ცენტრები - საქართველოს მასშტაბით 48 ცენტრი ფუნქციონირება (3 დაფუძნებული ბიბლიოთეკაზე); საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით ხელმისაწვდომი 200-ზე მეტი საჯარო სერვისი; მინიმუმ დამატებით 15 000 სოფლის მაცხოვრებელი, რომელსაც აქვს წვდომა საჯარო მომსახურებებზე საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით.

დამატებით აშენებულია საზოგადოებრივი ცენტრები და საანგარიშო პერიოდისთვის საქართველოს მასშტაბით 51 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს (მათ შორის 4 დაფუძნებულია ბიბლიოთეკაზე); ადგილობრივ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდა 200-ზე მეტი საჯარო სერვისი; და დამატებით სოფლის 27 000 მცხოვრებს აქვს წვდომა საჯარო მომსახურებაზე საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 1,110,600.0 ლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა: 2,905,230.11 ლარი.

აქტივობა 2.2.9. სოფლის მოსახლეობის საჯარო მომსახურებებზე წვდომის გაზრდა დამატებითი საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობით	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო <u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: მუნიციპალიტეტები; სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო", სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი", სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა", სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო", შპს „მექანიზატორი“, იურიდიული დახმარების სამსახური, ლიბერთი ბანკი, შპს „მაგთიკომი“.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დამატებით აშენებული საზოგადოებრივი ცენტრები - საქართველოს მასშტაბით 48 ცენტრი ფუნქციონირება (3 დაფუძნებული ბიბლიოთეკაზე); საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით ხელმისაწვდომი 200-ზე მეტი საჯარო სერვისი; და მინიმუმ 15 000 დამატებით სოფლის მაცხოვრებელი, რომელსაც აქვს წვდომა საჯარო მომსახურებებზე საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით	**შესრულებული:** დამატებით აშენებულია საზოგადოებრივი ცენტრები და საანგარიშო პერიოდისთვის საქართველოს მასშტაბით 51 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს (მათ შორის 4 დაფუძნებულია ბიბლიოთეკაზე); ადგილობრივ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდა 200-ზე მეტი საჯარო სერვისი; და დამატებით სოფლის 27 000 მცხოვრებს აქვს წვდომა საჯარო მომსახურებაზე საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>1,110,600.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>2,905,230.11</u> ლარი
<u>**ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით**</u> <u>**ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 2.2.10.** მუნიციპალური სერვისების ხარისხის ამაღლება სოფლის მოსახლეობისთვის და ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მართვის სისტემის (მმს) დანერგვა.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო", სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო", სსიპ „სმართ ლოჯიკი", სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრი", სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური" (ფინანსთა სამინისტრო); გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

<u>აქტივობის მიზანი:</u> მუნიციპალური სერვისების ხარისხის ამაღლება

განხორციელებული ღონისძიებები

ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის ხელშეწყობა – 2017 წლის ბოლოს სისტემა ფუნქციონირებდა 50 მუნიციპალიტეტში, ხოლო აღნიშნული წლის განმავლობაში მუნიციპალური მართვის სისტემა გაეშვა 12 მუნიციპალიტეტში. სისტემის დანერგვამ ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება მისცა, ეფექტიანად მიაწოდოს მოსახლეობას თავისი სერვისები როგორც მუნიციპალური ცენტრების, ისე საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით. მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასების მიზნით, 2017 წელს ჩატარდა კვლევები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომელთა შედეგად განისაზღვრა ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილების დონე და გამოვლინდა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი ელმმართველობის დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ. 2015 წლიდან დღემდე მომხმარებლების კმაყოფილება მუნიციპალური სერვისების მიწოდების მიმართულებით გაიზარდა 12 %-ით. 2017 წლის მონაცემებით, კმაყოფილების მაჩვენებელი 92%-ია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.2.10 ინდიკატორად განსაზღვრული იყო: მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა დანერგვა და გაშვება დამატებით 7 მუნიციპალიტეტში; ჯამში მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის ფუნქციონირება 50 მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სერვისებით. შედეგად, მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა დანერგილი და გაშვებულია დამატებით 12 მუნიციპალიტეტში და ფუნქციონირებს ჯამში 50 მუნიციპალიტეტში.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 134,900.0 ლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა: 271,044.0 ლარი.

აქტივობა 2.2.10. მუნიციპალური სერვისების ხარისხის ამაღლება სოფლის მოსახლეობისთვის და ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მართვის სისტემის (მმს) დანერგვა	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო პარტნიორი ორგანიზაციები: სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო", სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვული სააგენტო", სსიპ „სმართ ლოჯიკი", სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრი", სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური" (ფინანსთა სამინისტრო); გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა დანერგვა და გაშვება დამატებით 7 მუნიციპალიტეტში; ჯამში მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის ფუნქციონირება 50 მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სერვისებით	**შესრულებული:** მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა დანერგილი და გაშვებულია დამატებით 12 მუნიციპალიტეტში და ფუნქციონირებს ჯამში 50 მუნიციპალიტეტში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 134,000 ლარი	**ფაქტობრივი:** 271,044 ლარი
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**	

- **აქტივობა 2.2.11.** სოფლის მოსახლეობისთვის თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკებსა და საჯარო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა - დამატებითი თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზება საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის გამოყენებით.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

პარტნიორი ორგანიზაციები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

აქტივობის მიზანი: სოფლის მოსახლეობისთვის თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკებსა და საჯარო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის მდგომარეობით, 51 საზოგადოებრივი ცენტრიდან 4 არის საჯარო ბიბლიოთეკის ბაზაზე. აღნიშნული წლის განმავლობაში გაიხსნა 2 ასეთი ტიპის საზოგადოებრივი ცენტრი დაბა ბაკურიანსა (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) და დაბა ფასანაურში (დუშეთის მუნიციპალიტეტი).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.2.11 ინდიკატორად განსაზღვრული იყო: ფუნქციონირებს 2 დამატებითი თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკა საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის გამოყენებით; გადამზადებულია სხვადასხვა სოფლებსა და დაბების

საჯარო ბიბლიოთეკის მინიმუმ 15 თანამშრომელი. შედეგად, გაიხსნა 2 დამატებითი თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკება საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის გამოყენებით გადამზადებულია სხვადასხვა სოფლის და დაბის საჯარო ბიბლიოთეკის 26 თანამშრომელი.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 315,605.0 ლარი და 9,000.0 აშშ დოლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა: 315,605 ლარი და 10,677.0 აშშ დოლარი. ბიუჯეტის ათვისებაში მითითებული თანხა არის სრულად ამ პროექტის ბიუჯეტი, რომელიც დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წლის ივნისში. შესაბამისად, ამ თანხის ნაწილი ათვისებულ იქნა 2016 წელს.

აქტივობა 2.2.11. სოფლის მოსახლეობისთვის თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკებსა და საჯარო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა - დამატებითი თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზება საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის გამოყენებით	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: მუნიციპალიტეტები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ფუნქციონირებს 2 დამატებითი თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკება საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის გამოყენებით; და გადამზადებულია სხვადასხვა სოფლებსა და დაბების საჯარო ბიბლიოთეკის მინიმუმ 15 თანამშრომელი	**შესრულებული:** გაიხსნა 2 დამატებითი თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკება საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფციის გამოყენებით გადამზადებულია სხვადასხვა სოფლის და დაბის საჯარო ბიბლიოთეკის 26 თანამშრომელი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>315,605.0</u> ლარი და <u>9,000.0</u> აშშ დოლარი	**ფაქტობრივი:** <u>315,605.0</u> ლარი და <u>10,677.0</u> აშშ დოლარი
<u>**ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით**</u> <u>**ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 2.2.12.** იმ მუნიციპალურ ცენტრებში სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სადაც 2016 წლის განმავლობაში არ არის ასეთი სერვისები ხელმისაწვდომი (მათ შორის ხელმიუწვდომელია ასეთი ცენტრების სიახლოვეში/მიმდებარედ არსებული სოფლების მოსახლეებისათვის).
  <u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
  <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
  <u>აქტივობის მიზანი:</u> სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა

განხორციელებული ღონისძიებები

2016 წლიდან დაწყებული ნოტარიატის რეფორმის ფარგლებში, 19 ნოტარიუსი დაინიშნა ისეთ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც მანამდე მოკლებული იყო სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობას. საანგარიშო პერიოდში იმ მუნიციპალიტეტში, სადაც მანამდე ხელმისაწვდომი არ იყო სანოტარო მომსახურება, უზრუნველყოფილია 19 კეთილმოწყობილი სანოტარო ბიუროს ფუნქციონირება და მოქალაქეები შეუფერხებლად იღებენ სანოტარო და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ, მე-11 მუხლის მე-2[1] პუნქტის საფუძველზე, „ახალდანიშნული ნოტარიუსი პირველი 3 წლის განმავლობაში სანოტარო საქმიანობას ახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებებით მტკიცდება იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“. რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში, მე-11 მუხლის მე-2[3] პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ნოტარიუსს სანოტარო საქმიანობის შესაბამის დასახლებაში განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში სათანადო ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. დახმარება გაიცემა ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტიდან, რომელიც ფორმირებულია მხოლოდ პალატის საკუთარი შემოსავლებით და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 2.2.12 ინდიკატორად განსაზღვრული იყო: კეთილმოწყობილი სანოტარო ბიუროების რაოდენობა 15. შედეგად, საანგარიშო პერიოდში იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მანამდე ხელმისაწვდომი არ იყო სანოტარო მომსახურება, უზრუნველყოფილია 19 კეთილმოწყობილი სანოტარო ბიუროს ფუნქციონირება, სადაც მოქალაქეები შეუფერხებლად იღებენ სანოტარო და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებს.

საპროგნოზო ბიუჯეტი 100,000.0 ლარის ნაცვლად, აღნიშნული აქტივობის განსახორციელებლად გაიხარჯა 108,144.0 ლარი.

აქტივობა 2.2.12. იმ მუნიციპალურ ცენტრებში სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სადაც 2016 წლის განმავლობაში არ არის ასეთი სერვისები ხელმისაწვდომი (მათ შორის ხელმიუწვდომელია ასეთი ცენტრების სიახლოვეში/მიმდებარედ არსებული სოფლების მოსახლეებისათვის).
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ -საქართველოს ნოტარიუსთა პალატა <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: კეთილმოწყობილი სანოტარო ბიუროების რაოდენობა 15	**შესრულებული:** კეთილმოწყობილი სანოტარო ბიუროების რაოდენობა 19
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 100,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 108,144.0 ლარი
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**	

- **აქტივობა 2.2.13.** გადასახადის გადამხდელთათვის შემოსავლების სამსახურის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა - იმ რეგიონებში, სადაც შემოსავლების სამსახურს არ აქვს წარმომადგენლობა, მოძრავი სერვის ცენტრის "RSCAR" მიერ გადამხდელებისთვის ყველა საჭირო მომსახურების გაწევა.

  პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - შემოსავლების სამსახური.

  პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

  აქტივობის მიზანი: სოფლის მოსახლეობის საგადასახადო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სერვისების მობილურობით.

განხორციელებული ღონისძიებები

RS CAR სერვისის დანერგვით, შემოსავლების სამსახური მომხმარებლებს სთავაზობს მომსახურების გაწევას ახალი, მარტივი, სწრაფი და კომფორტული საშუალებით - ე.წ. RS CAR (მოძრავი სერვისცენტრი). ეს არის ყველა საჭირო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სპეციალური მიკროავტობუსი, რომლის საშუალებითაც ათასობით გადასახადის გადამხდელი მომსახურებას იღებს მათთვის მოსახერხებელ ადგილზე.

RS CAR მომსახურებას უწევს მაღალმთიან რაიონებს და ასევე იმ რაიონებს, სადაც არ არის მომსახურების სერვის ცენტრი/წარმომადგენლობა, რაც გადასახადის გადამხდელს უზოგავს დროს და ენერგიას.

2017 წლის განმავლობაში RS CAR-ის საშუალებით ადგილობრივ მოსახლეობას გაეწია სხვადასხვა ტიპის, მათთვის საჭირო მომსახურება, მათ შორის:

- ✓ კონსულტაციები საქართველოს საგადასახადო კოდექსის და შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- ✓ შემოსავლების სამსახურის ელექტრონული გვერდის სარგებლობის მიზნით ავტორიზაციის განცხადებების მიღება და რეგირება;
- ✓ მიკრო/მცირე ბიზნესისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება/გაუქმება;
- ✓ განცხადებების მიღება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭება/შეჩერება/შეწყვეტის შესახებ;

- ✓ შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში ცნობების გაცემა, სხვადასხვა, მათ შორის საგადასახადო დავალიანების, გადამხდელის რეგისტრაციის, დღგ-ის რეგისტრაციის, შემოსავლების შესახებ;
- ✓ შესწავლილ იქნა პრობლემური საკითხები მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი რეაგირების მიზნით და სხვა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში RS CAR-ის საშუალებით მომსახურება გაეწია 7739 გადასახადის გადამხდელს რეგიონებში.

აღნიშნული აქტივობის განხორციელებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტის, 73,000.0 ლარის ნაცვლად, გაიხარჯა 114,000.0 ლარი.

აქტივობა 2.2.13: გადასახადის გადამხდელთათვის შემოსავლების სამსახურის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა - იმ რეგიონებში, სადაც შემოსავლების სამსახურს არ აქვს წარმომადგენლობა, მოძრავი სერვის ცენტრის "RSCAR" მიერ გადამხდელებისთვის ყველა საჭირო მომსახურების გაწევა	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - შემოსავლების სამსახური პარტნიორი ორგანიზაცია: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: 2017 წელს საშუალოდ 6500 გადა-მხდელს გაეწევა მომსახურება საქართველოს 33 რეგიონში	**შესრულებული:** 2017 წლის განმავლობაში RS CAR-ის საშუალებით მომსახურების მიწოდება განხორციელდა 36 დისლოკაციაზე. სხვადასხვა ტიპის სერვისებით ისარგებლა 7739 ვიზიტორმა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 73,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:** 114,600.0 ლარი
ინდიკატორი და ბიუჯეტი შესრულებულია გადაჭარბებით	

ამოცანა 2.3. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.

2.3 ამოცანის შესრულების მიზნით 2 აქტივობა განხორციელდა, ქალთა აქტიურობის და ჩართულობის ზრდის ხელშეწყობის და ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით

2.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 40,000.0 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში:

- ⇒ ხელი შეეწყო სოფლად ქალთა აქტიურობის გაზრდას და საზოგადოებრივი ცხოვრებაში მათ ჩართულობის გაზრდას. ამასთან, გაიზარდა სოფლის მოსახლეობის ცნობიერება ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით, რაც ასევე ხელს უწყობს მათ გააქტიურებას მიგრანტთა უფლებების დასაცავად
- ⇒ 550-ზე მეტ ადამიანს აუმაღლდა ცნობიერება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებზე
- ⇒ გაიზარდა სოფლის მოსახლეობის ცნობიერება ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით, რაც ასევე ხელს უწყობს მათ გააქტიურებას მიგრანტთა უფლებების დასაცავად.

2.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 40,000.0 ლარი გადაჭარბებით არის შესრულებული და 44,260.3 ლარს შეადგენს (2.3.2 აქტივობის ბიუჯეტის გამოკლებით)

- **აქტივობა 2.3.1.** ქალთა აქტიურობის და ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა (საზოგადოებრივი ცენტრების ბაზაზე).

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

<u>აქტივობის მიზანი:</u> ქალთა აქტიურობის და ჩართულობის ზრდა

განხორციელებული ღონისძიებები

ქალთა აქტიურობის და ჩართულობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ორგანიზებით 2017 წელს 11 სოფელში ჩატარდა თითო ღონისძიება. ჯამში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობამ შეადგინა 11. ასევე, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ მიერ 2017 წლის 9 თვის განმავლობაში ტრენინგი ჩატარდა ჯამში 46 სოფელსა და ქალაქში, რომელთაც სულ დაესწრო 484 პირი (424 ქალი/60 კაცი). გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ მიერ გურიისა და ქვემო ქართლის ყველა (ჯამში - ათი) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა 2-დღიანი ტრენინგი თემაზე: „გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის“. ტრენინგი გაიარა ჯამში 66-მა პირმა (40 ქალი/26 კაცი).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წელს, ქალთა უფლებების და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ჩატარებულია 11 ღონისძიება. საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 15,000.0 ლარი, რომელიც ფაქტობრივად გადაჭარბებით შესრულდა და 44,260.3 ლარი შეადგინა.

აქტივობა 2.3.1. ქალთა აქტიურობის და ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა (საზოგადოებრივი ცენტრების ბაზაზე)	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ქალთა უფლებების და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით სულ მცირე 6 ღონისძიების ჩატარება	**შესრულებული:** ქალთა უფლებების და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ჩატარებულია 11 ღონისძიება
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>15,000</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>44,260.3</u> ლარი
<u>**ინდიკატორი და ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

- **აქტივობა 2.3.2.** სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ზრდა ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით (საზოგადოებრივ ცენტრების ბაზაზე)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> სსიპ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: მიგრაციის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები; სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ზრდა ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით.

განხორციელებული ღონისძიებები

ჩატარდა 47 საინფორმაციო შეხვედრა ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წელს, ნაცვლად 10 საინფორმაციო შეხვედრისა, ჩატარდა 47 საინფორმაციო შეხვედრა ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით. საინფორმაციო შეხვედრები სააგენტომ შიდა რესურსების გამოყენებით უზრუნველყო.

აქტივობა 2.3.2. სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ზრდა ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით (საზოგადოებრივ ცენტრების ბაზაზე)	
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო პარტნიორი ორგანიზაცია: მიგრაციის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები; სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება	**შესრულებული:** ჩატარდა 47 საინფორმაციო შეხვედრა ლეგალურ მიგრაციასა და მიგრანტთა უფლებებთან დაკავშირებით
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 25,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:**
ინდიკატორები შესრულდა გადაჭარბებით **ბიუჯეტი შესრულების შესახებ ინფორმაცია უცნობია**	

პრიორიტეტული მიმართულება 3: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

პრიორიტეტული მიმართულება გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 6 აქტივობას. ამოცანები ძირითადად უკავშირდება წყლის, ტყის და სხვა ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესების, მყარი ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის განვითარების ხელშემწყობის და კლიმატის ცვლილების ზეგავლენის ნეგატიური გავლენის შერბილების მიზნით, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

პრიორიტეტული მიმართულების ჯამური ბიუჯეტი 430,000.0 ლარია. ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 709,886.8 ლარი (იმ პროგრამების გამოკლებით, რომლებიც სრულიად დონორების მიერ დაფინანსდა მათი ბიუჯეტების შესრულების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი).

ამოცანა 3.1. წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება.

3.1 ამოცანის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში 2 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ტყის მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის და ტყეების კატეგორიზაციის ოპტიმალური სისტემის დანერგვის, ასევე, ბუნებრივი საძოვრების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის მიმართულებით.

3.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 120,000.0 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში:

⇒ **შემუშავებულია ტყის ახალი კოდექსის პროექტი**
⇒ **შემუშავებულია საძოვრების მართვის გეგმები**

3.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 120,000.0 ლარი გადაჭარბებით არის შესრულებული, 3.1.2 აქტივობის დონორის მიერ დაფინანსების გათვალისწინების გარეშე. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ, ამ აქტივობის განხორციელებისთვის გახარჯულია 310,000.0 ლარი

- **აქტივობა 3.1.1.** ტყის მდგრადი გამოყენების (მათ შორის სოფლის მოსახლეობის მიერ) მიზნით, ტყეების კატეგორიზაციის ოპტიმალური სისტემის შემუშავება და დანერგვა.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტო; მსოფლიო ბანკი; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

<u>აქტივობის მიზანი:</u> საქართველოში ტყეების მდგრადი გამოყენების მიზნით თანამედროვე ევროპულ სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა.

განხორციელებული ღონისძიებები

ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა ახალი ტყის კოდექსის პროექტი. შემუშავების პროცესში გაიმართა სამუშაო შეხვედრები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. სამუშაო ვერსია, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით გაიგზავნა სამინისტროებში. მიღებული შენიშვნები და კომენტარები აისახა დოკუმენტში. სახელმწიფო უწყებებთან გაიმართა დამატებითი კონსულტაციები. ივნისში ჩატარდა ტყის კოდექსის შემუშავების მაკოორდინირებელი კომისიის სხდომა, რომელმაც შეიტანა საბოლოო ცვლილებები სამუშაო დოკუმენტში.

2016 წელს შემუშავდა კანონქვემდებარე აქტის "ტყისა და სატყეო მიწების კატეგორიზაციის წესის" პროექტის სამუშაო ვერსია, რომელიც 2017 წელს, საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის ფარგლებში ლიტველმა, სლოვაკმა და უნგრელმა ექსპერტებმა შეაფასეს და მოამზადეს პირველადი რეკომენდაციები მის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში შემუშავდა საქართველოს ტყის კოდექსის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ტყის კატეგორიზაციის საფუძვლებს (მათ შორის დაცული, სარეკრეაციო, დაცვით და სამეურნეო ტყეების კატეგორიებს).

აქტივობის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 20,000.0 ლარი. პროექტი სრულად დაფინანსდა დონორუ ორგანიზაციის მიერ და სახელმწიფოს მხრიდან ხარჯვა არ განხორციელებულა.

აქტივობა 3.1.1. ტყის მდგრადი გამოყენების (მათ შორის სოფლის მოსახლეობის მიერ) მიზნით, ტყეების კატეგორიზაციის ოპტიმალური სისტემის შემუშავება და დანერგვა.	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია:</u> სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტო; მსოფლიო ბანკი; გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული ახალი ტყის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს ტყის კატეგო-რიზაციის (მათ შორის დაცული, სარეკრიაციო, დაცვით და სამეურნეო ტყეების) ახალ წესს	**შესრულებული:** შემუშავდა საქართველოს ტყის კოდექსის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ტყის კატეგორიზაციის ახალ საფუძვლებს/წესს (მათ შორის დაცული, სარეკრეაციო, დაცვით და სამეურნეო ტყეების კატეგორიებს)
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>20,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** სრულად დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციის მიერ
<u>**ინდიკატორები ნაწილობრივ შესრულდა**</u> <u>**ბიუჯეტი სრულად დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციის მიერ**</u>	

- **აქტივობა 3.1.2.** ბუნებრივი საძოვრების ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: სსიპ-დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები

<u>აქტივობის მიზანი:</u> ბუნებრივი საძოვრების ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის ბოლოსათვის შეფასებულია ვაშლოვანის თუშეთის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგომარეობა. შემუშავებული და შეთანხმებულია ვაშლოვანის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მართვის გეგმების საფუძვლები.

დამატებით, შემუშავებულია თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მიწის საფარისა და ეროზიის რისკის რუკები რომლებიც გამოყენებული იქნება თუშეთის საძოვრების მართვის გეგმის შემუშავებისათვის. 2 დაცული ტერიტორიის

ფარგლებში განხორციელდება საძოვრების მართვის პროექტის შეთანხმება. მიმდინარეობს საძოვრების მართვის გეგმის პროექტის განხილვა ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, მიმდინარეობს თუშეთის დაცული ტერიტორიების საძოვრების გეობოტანიკური შესწავლა და საძოვრების საკადასტრო სამუშაოები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის - 3.1.2 ინდიკატორად განსაზღვრული იყო: ვაშლოვანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგომარეობის შეფასება; ვაშლოვანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები (საპილოტე) შემუშავება და დამტკიცება.

2017 წლის ბოლოსათვის შეფასებულია ლაგოდეხის (2 150 ჰა-ზე) და ვაშლოვანის (16 553 ჰა-ზე) დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგომარეობა. ამასთან, შემუშავებული და შეთანხმებულია ვაშლოვანის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მართვის გეგმების საფუძვლები.

აქტივობის საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 100,000.0 ლარი, რომელიც შესრულდა გადაჭარბებით და გახარჯულმა თანხამ 310,000.0 ლარი შეადგინა.

აქტივობა 3.1.2. ბუნებრივი საძოვრების ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ-დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შეფასებულია ვაშლოვანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგომარეობა; და შემუშავებული და დამტკიცებულია ვაშლოვანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები (საპილოტე)	**შესრულებული:** შეფასებულია ვაშლოვანის თუშეთის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგომარეობა. შემუშავებული და შეთანხმებულია ვაშლოვანის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მართვის გეგმების საფუძვლები.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>100,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>310,000.0</u> ლარი
<u>**ინდიკატორები შესრულდა ნაწილობრივ**</u> <u>**ბიუჯეტი შესრულდა გადაჭარბებით**</u>	

ამოცანა 3.2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

3.2 ამოცანის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში 2 აქტივობა განხორციელდა, რომელიც უკავშირდებოდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას და ერთ მუნიციპალიტეტში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციის ხელშეწყობას .

3.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 210,000.0 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში:

- **შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმები 55 მუნიციპალიტეტისთვის და განხორციელდა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციის საპილოტე პროექტი**
- **შემუშავდა დაცულ ტერიტორიებზე ნარჩენების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი**

3.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 210,000.0 ლარიდან 60,000.0 ლარი გახარჯულია სახელმწიფოს მიერ 3.2.2 აქტივობისთვის, ხოლო 3.2.1 აქტივობა დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციის მიერ.

- **აქტივობა 3.2.1.** მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> ა) მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმების შემუშავების კომპონენტში: მუნიციპალიტეტები. ბ) სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში განხორციელებული ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციის საპილოტე პროექტის კომპონენტში: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: ა) მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების კომპონენტში: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საერთაშორისო ორგანიზაციები. ბ) ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციის ხელშეწყობის კომპონენტში: მუნიციპალიტეტები; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები.

<u>აქტივობის მიზანი:</u> მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმების შემუშავების მიზნით (ა) კომპონენტი), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის - ,,ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები

რეგიონებში (WMTR)" ფარგლებში, კახეთის რეგიონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტისათვის შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმების პროექტები. გეგმის პროექტები შემუშავებულია სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად და საჯარო განხილვების შედეგად. ასევე აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდა შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები. ტრენინგებში მონაწილეობდნენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ,,ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა" ფარგლებში შემუშავდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის.

გურიის რეგიონში საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მიერ, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „მუნიციპალიტეტების დონეზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში". პროექტის ფარგლებში შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები გურიის რეგიონისთვის.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ხელშეწყობის მიზნით (ბ) კომპონენტი, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით, ტყის ნარჩენებისგან ბიოსაწვავის (ბრიკეტები) წარმოების, საბიუჯეტო დაწესებულებებსა და მოსახლეობისათვის შეთავაზების მიზნით, განხორციელდა პროექტი "ბიომასის წარმოების და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში". პროექტის ფარგლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს მხარდაჭერით მოეწყო თანამედროვე ტიპის ბრიკეტების საამქრო და დაიწყო ენერგოეფექტური ბრიკეტების წარმოება. საწარმოს ოპერატორ სახელმწიფო უწყებად შეირჩა სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა. გამოშვებულია 30 ტონამდე ბრიკეტი. პირველ ეტაპზე 5500კგ ბრიკეტი მიწოდებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო და ქვემო ალვანის საბავშვო ბაღებისთვის. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის სკოლას მიეწოდა 500 კგ. ბრიკეტი, ხოლო სოფელ არბოშიკის სკოლას 300კგ. ბრიკეტი მიეწოდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების მიერ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წლის განმავლობაში: შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმების პროექტები 55 მუნიციპალიტეტისთვის; ერთ მუნიციპალიტეტში (ახმეტის) განხორციელებულია ბიოდეგრადირებადი

ნარჩენების უტილიზაციის საპილოტე პროექტი - მოეწყო თანამედროვე ტიპის ბრიკეტების საამქრო, რომელმაც საწყის ეტაპზე აწარმოა 30 ტონამდე ბრიკეტი.

საპროგნოზო ბიუჯეტი ა) კომპონენტში იყო 50,000 ლარი და ბ) კომპონენტში 100,000 ლარი სახელმწიფოს მიერ არ გახარჯულა, ვინაიდან პროექტები სრულად დაფინანსდა დონორი ორგანიზაციის მიერ.

აქტივობა 3.2.1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესება	
პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები (კომპონენტია ა); საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (კომპონენტი ბ) პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საერთაშორისო ორგანიზაციები (კომპონენტი ა); მუნიციპალიტეტები; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები (კომპონენტი ბ)	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ა) შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმები; ბ) სულ მცირე ერთ მუნიციპალიტეტში მაინც განხორციელებულია ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციის საპილოტე პროექტი	**შესრულებული:** ა) შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმების პროექტები 55 მუნიციპალიტეტისთვის; ბ) ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უტილიზაციის საპილოტე პროექტი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: ა) კომპონენტი 50,000.0 ლარი ბ) კომპონენტი 100,000.0 ლარი	**ფაქტობრივი:**. სრულად დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციების მიერ
ინდიკატორები შესრულდა **სრულად დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციის მიერ**	

- **აქტივობა 3.2.2.** დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

პარტნიორი ორგანიზაციები: სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტო; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები.

აქტივობის მიზანი: დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე და მათ შემოგარენში ტურიზმის აქტიური განვითარების ფონზე გაზრდილი ვიზიტორების რაოდენობის შედეგად მატულობს ნარჩენების რაოდენობა და აქტუალური ხდება ნარჩენების განთავსების

პრობლემების გონივრული გადაწყვეტა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაისვა საკითხი და გადაწყდა მომზადდეს ნარჩენების მართვის სახემძღვანელო დოკუმენტი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისათვის.

2017 წელს მომზადდა დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის დაგეგმვის, სისტემის დიზაინის შემუშავების და განხორციელების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი. მიმდინარეობს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიისთვის ნარჩენების მართვის დოკუმენტის შემუშავება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

შემუშავებულია დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტი. შედეგად, მომზადებულია დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის დაგეგმვის, სისტემის დიზაინის შემუშავების და განხორციელების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

აქტივობისთვის განსაზღვრული საპროგნოზო ბიუჯეტი 60,000.0 ლარი სრულად შესრულდა.

აქტივობა 3.2.2. დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გაუმჯობესება	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტო; არასამთავრობო ორგანიზაციები; საერთაშორისო ორგანიზაციები	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შემუშავებულია დაცული ტერიტორიების ნარჩენების მართვის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტი	**შესრულებული:** მომზადებულია დაცულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის დაგეგმვის, სისტემის დიზაინის შემუშავების და განხორციელების მართვის სახელმძღვა-ნელო დოკუმენტი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>60,000.0</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>60,000.0</u> ლარი
<u>**სრულად შესრულდა**</u>	

ამოცანა 3.3. კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება. რისკების შეფასება

3.3 ამოცანის შესრულების მიზნით 2 აქტივობა განხორციელდა აგრო-მეტეოროლოგიური სისტემის გაუმჯობესება/განვითარება მოსალოდნელი სტიქიების/კატასტროფების პრევენციის მიზნით და ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერების ამაღლების კუთხით კლიმატის ცვლილების, როგორც ბიომრავალფეროვნებისა და აგროსექტორის საფრთხის შესახებ.

3.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 100,000.0 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში:

- **შეძენილი და დამონტაჟებულია 5 ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური**
- **მუნიციპალიტეტების წარომადგენლებს აუმაღლდათ ცნობიერება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო საფრთხეების შესახებ**

3.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების საპროგნოზო ბიუჯეტი 100,000.0 ლარი შესრულებულია გადაჭარბებით შესრულდა და შეადგინა 339,886.75 ლარი შეადგინა

- **აქტივობა 3.3.1.** აგრო-მეტეოროლოგიური სისტემის გაუმჯობესება/განვითარება მოსალოდნელი სტიქიების/კატასტროფების პრევენციის მიზნით.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტო; ევროკავშირი; საერთაშორისო ორგანიზაციები.

<u>აქტივობის მიზანი:</u> აგრო-მეტეოროლოგიური სისტემის გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო წლის განმავლობაში, გაფართოვდა ქვეყნის ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური დაკვირვებების ქსელი. შეძენილ იქნა, დამონტაჟდა და გაიმართა 5 ერთეული ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური, რომელთა მონაცემები გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიაზე ამინდის, მათ შორის აგრომეტეროლოგიური პროგნოზების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შეძენილ იქნა ლიცენზია საქაერონავიგაციის კუთვნილი რადარის მონაცემებთან წვდომისთვის, რამაც გააუმჯობესა გაფრთხილებების ეფექტურობა მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების, მათ შორის სოფლის მეურნეობისთვის არახელსაყრელი აგრომეტეოროლოგიური პირობების შესახებ.

თურქეთის მეტეოროლოგიური სამსახურის მიერ დანერგილი სასოფლო-სამეურნეო წაყინვების ადრეული გაფრთხილების სისტემების მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე გაიცა 7 გაფრთხილება შესაძლო წაყინვების შესახებ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წელს შეძენილ იქნა, დამონტაჟდა და გაიმართა 5 ერთეული ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 50,000.0 ლარი, თუმცა 5 ერთეული ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურის შეძენაში გახარჯულ იქნა 339,886.75 ლარი. პროგრამა განხორციელდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დაფინანსებით, საწყის ეტაპზე ბიუჯეტი არ იყო დაზუსტებული.

აქტივობა 3.3.1. აგრო-მეტეოროლოგიური სისტემის გაუმჯობესება/განვითარება მოსალოდნელი სტიქიების/კატასტროფების პრევენციის მიზნით	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტო; ევროკავშირი; საერთაშორისო ორგანიზაციები	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: აღდგენილი და ფუნქციონირებადი აგრო-მეტეოროლოგიური სისტემის სადგურების რაოდენობა	**შესრულებული:** შეძენილ იქნა, დამონტაჟდა და გაიმართა 5 ერთეული ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>50,000</u> ლარი	**ფაქტობრივი:** <u>339,886.75</u> ლარი
<u>**შესრულდა**</u>	

- **აქტივობა 3.3.2.** ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილების, როგორც ბიომრავალფეროვნებისა და აგროსექტორის საფრთხის შესახებ.

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

<u>პარტნიორი ორგანიზაციები</u>: მუნიციპალიტეტები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები.

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილების შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებები

კლიმატის ცვლილების სფეროში მუნიციპალიტეტების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა პროგრამა "საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია", რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა დონეზე სპეციალური კომისიების შექმნას, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან დაგეგმარების პროცესში საადაპტაციო ღონისძიებების გატარებაზე.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში შეირჩა შესაბამისი საკონტაქტო პასუხისმგებელი პირი და ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფები. შესაბამის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვისა და ადაპტაციის საკითხებზე.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2017 წელს ჩატარდა 7 სალექციო კურსი ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელისთვის.

საპროგნოზო ბიუჯეტი იყო 50,000.0 ლარი, თუმცა აქტივობა სრულად დაფინანსდა დონორი ორგანიზაციის მიერ.

აქტივობა 3.3.2. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილების, როგორც ბიომრავალფეროვნებისა და აგროსექტორის საფრთხის შესახებ	
<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო <u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: მუნიციპალიტეტები; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები	
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მუნიციპალიტეტისთვის ჩატარებული სემინარების რაოდენობა	**შესრულებული:** ჩატარდა სულ 7 სალექციო კურსი ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელისთვის
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: <u>50,000</u>.0ლარი	**ფაქტობრივი:** სრულად დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციის მიერ
<u>**სრულად შესრულდა**</u> <u>**დაფინანსებულია დონორი ორგანიზაციის მიერ**</u>	